# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 28 მაისი 2007 №119 (3042) ფასი 50 თეთრი


ბადრი კეთილაძის ფოტო



# ამერი ამ ერის ამ თასის პატრონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება. ფინალი

# თასი ამ ერისა, თასი ამერისა




გაბრიელ კოპალიანის ფოტო

თბილისი. 26 მაისი. 20 საათი. ეროვნული. 25 000 (ტევადობა 55 000)

### ამერი 1:0 ზესტაფონი

| | |
|---|---|
| 1:0 ტატანაშვილი (61) | |
| ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე (კაკაშვილი 86), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (მეხხი 69), დეკანოსიძე, დავითაშვილი, ტატანაშვილი (ჩიმაკაძე 72) სათადარიგონი: ნადირაშვილი; გაბისკირია, ჯელაძე, ელბაქიძე მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, თოდუა (ფიფია 66), ლონლაძე, კ. ჩხეტიანი (გ. ჩხეტიანი 71), ცონატასი, კესანი, ვიეირა, ჭელიძე, რ. ონიანი, იონანიძე სათადარიგონი: რ. კვასხვაძე; ბ. ნოზაძე, სანტოსი, ლეანდრო, ძარია მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: დავითნიძე (5), ჩიკვილაძე (34), ვიეირა (63), მეხხი (81), ქვაჩახია (86), ონიანი (88) | |
| მსაჯები: ჯუნეით ჩაქირი; ბაჰათინ დურანი, ჯემ სათმანი (სამივე თურქეთი); გიორგი ვადაჭკორია (საქართველო) | |
| დამკვირვებელი: ნოდარ კაკულია; დირექტორი: პაატა ბურჯალიანი | |

კობა ინასარიძე

**მესამე** და სამართალი არ გამოვიდა: „ზესტაფონი“ ზედიზედ და თანაც მესამედ დამარცხდა საქართველოს თასის ფინალში. ამჯერადაც იმ „ამერთან“, რომელთანაც შარშანაც წააგო. „ამერამდე“ კი ზესტაფონელები ასევე თბილისელებმა, „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა არ მიუშვეს თასამდე. ხოლო „ზესტაფონის“ უიღბლობის ამბავი ძველის გამეორებაა: 1995-97 წლებში „ბათუმიც“ უიღბლო ფინალისტი გახლდათ. ამ გუნდმაც ზედიზედ სამჯერ წააგო ფინალი და მხოლოდ მეოთხე ჯერზე მოიგო. ოღონდ „ბათუმს“ ოთხივე სეზონში ერთი მეტოქე ჰყავდა — „დინამო“. ასე რომ, „ამერი“ და „ზესტაფონი“ „დინამო“ — „ბათუმის“ თავგადასავალთან ახლოს არიან. სხვათა შორის, მაშინდელ „დინამოში“ ერთი ახლანდელი ამერელიც თამაშობდა — გივი დიდავამ საქართველოს თასი უკვე მეექვსედ აღმართა.

– ეს, მე-17, უწინდელთაგან აშკარად გამორჩეული ფინალი გახლდათ. ადრე იქნებ უფრო ხარისხიანი და გაცილებით დრამატული მატჩებიც გვინახავს, მაგრამ ინტერესის და ორგანიზაციული თვალსაზრისით, თანაც შოუს ელემენტებით ასე გაზავებული არც ერთი წინა 16 ფინალი არ ყოფილა, თავის წილი ხიბლი კი არც მატჩს აკლდა.

აქეთ გია ნიკოლაძე, „ამერის“ ქომაგობა და „ამერის“ საკლუბო ჰიმნი, იქით ნიკა ქავთარაძე, დათო ფორჩხიძე, „ზესტაფონის“ ფანობა და ახალშექმნილი სიმღერა. მერე „ერისიონი“ და მათი „ხორუმი“, პეტარდები, ბავშვთა გუნდის შესრულებული „თავისუფლება“ და მატჩის დაწყებამდე დაწყვეტილი ნერვები... ყველაფერი კარგად იყო, ქომაგობა გვარიანად დაიმუხტა და უკვე სხვა სანახაობისთვის მოემზადა...

გუნდებს საქართველოს თასის ფინალების ისტორიაში პირველად უცხოელი მსაჯები გამოუძღვნენ, ფიფას თურქი მსაჯები საგანგებოდ ამ შეხვედრისთვის მოიწვიეს და ვერ ვიტყვით, რომ მათ მატჩს რამენაირი ხიბლი დაატყვესო.

„ამერის“ მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს გუნდის ტაქტიკურ მონახაზში რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ გაუკეთებია. მისთვის და გუნდისთვის მრავალნაცადი 4-4-2 გამოიყენა. ამერელები, ასევე ჩვეულად, თავიდანვე არც შეტევას მისძალებიან და უფრო ბურთის დაჭერას, გაგორებას და ტემპის ცვლით მეტოქის გამოჭერას ცდილობდნენ.

„ზესტაფონის“ თავკაცმა თემურ მახარაძემ კი, იქნებ ბევრისთვის მოულოდნელად, გამოკვეთილი ფორვარდის პოზიციაზე გამოცდილი ზურაბ იონანიძე დააყენა, ხოლო კიდევ ერთი მწვავედ შემტევი გოგი ფიფია სათადარიგოდ მოიტოვა. იონანიძეს ოდნავ უკნიდან და ფლანგებიდან გიორგი ჭელიძე და ბრაზილიელი ვიეირა ეხმარებოდნენ. „ზესტაფონმა“ მთავარი ძალების კონცენტრირება მოედნის შუაში ირჩია და სწორედ იქ მოპოვებული უპირატესობით თამაშიც მათი კარნახით დაიწყო. ზესტაფონელები დაკარგულ ბურთს მოედნის შუაშივე იბრუნებდნენ და საწყის ათ წუთში „ამერის“ კართან, ასე ვთქვათ, შტურმისმაგვარიც მოაწყვეს. ჯერ იყო და, მარჯვენა ფლანგიდან ჭელიძეს შექმნა საგოლედ ჩინებული მომენტი, მაგრამ ზურაბ ქვაჩახია რთულ დარტყმულს გაუმკლავდა და ბურთი ბადეს არ გაეკარა, შემდეგ კი ქვაჩახიამ უკვე მეორე ფლანგიდან ვიეირას შეტევა მოიგერია. ზესტაფონელებმა „ამერისთვის“ ძალიან სახიფათოდ დაიწყეს, თუმცა „ყვითლებმაც“ მალევე აუღეს ალღო მეტოქის თამაშს და იქით შეეცადნენ თავიანთი კოზირების გამოყენებას ეპიზოდურად „ამერს“ ეს კარგადაც გამოსდიოდა და იმერელთა შეტევებს რამდენიმე კუთხურით და სახიფათო პოზიციებიდან ჯარიმებით უპასუხეს ქვაჩახიასგან განსხვავებით, გრიგოლ ჭანტურიას ბევრი საქმე არ ჰქონია.

მოგვიანებით, როცა სასტარტო ემოციები ჩაცხრა, თამაში პოზიციური ბრძოლით გაგრძელდა და ტაიმის ნახევარი გადავლილი იყო, „ზესტაფონმა“ თბილისელებს კიდევ ორჯერ რომ უჩხვლიტა — კესანის დარტყმულს ქვაჩახია ადგილზე




გაბრიელ კოპალიანის ფოტო

www.pfl.ge

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება. ფინალი



# ტა-ტა-ტა-ტა... ტატანაშვილის ჯერი, რომელმაც ყველა დააჯერა

დაზვდა, იონანიძემ კი ნახევარ სტადიონს გული გადაუქანა, ნახევარიც სკამიდან წამოახტუნა — „ამერისთვის" საბედნიეროდ, მისმა დარტყმულმა ძელს ჩაუქროლა...

მეორე ტაიმი გუნდებმა უცვლელი შემადგენლობით დაიწყეს, სათადარიგოები კარს უკან ჩამწკრივდნენ და მოთელვას შეუდგნენ. შესვენებამდე ისეთი თამაში იყო, შეცვლებს არ უნდა დაეყოვნებინა, დაგვიანება ეგებ საბედისწეროც ყოფილიყო. შემადგენლობაში არა, მაგრამ ერთი წმინდა ტაქტიკური ცვლილება „ამერის" თამაშში კი შევნიშნეთ. გიორგი დეკანოსიძემ, ვინც პირველ ტაიმში მეტწილად მარცხენა ფლანგს უყურებდა, შესვენების შემდეგ შუაში შეიწია. თამაშმა გვიჩვენა, რომ ეს ეფექტური გადაადგილება იყო. „ზესტაფონი" შუაში ველარ მძლავრობდა და დეკანოსიძესაც მიეცა საშუალება, პასები საჭიროებისამებრ და, რაც მთავარია, ზუსტად გაენაწილებინა. ცხადია, დეკანოსიძეს არც ფლანგი ავიწყდებოდა, თუმცა უფრო შუისკენ აქცენტით მოქმედებდა. მთლიანად „ამერი" კი შესვენების შემდეგ თავდაჯერებული და მობილიზებული ჩანდა. ბურთიც უფრო „ყვითლებს" ჰქონდათ და, შესაბამისად, შეტევის შანსებიც გაჩნდა. თბილისელებმა ერთხელ გაიწიეს მეტოქის კარისკენ, მეორედ და მესამე ცდისას უკვე 61-ე წუთი იდგა...

ზესტაფონელთა უზუსტო პასების შემდეგ გივი დიდავამ ერთი შეხებით ბურთი სულიკო დავითაშვილს გადააწოდა. უფრო წინ და მცველებს შუა მყოფმა დიმიტრი ტატანაშვილმა კი თითქმის მათ გასწვრივ საგოლე მოძრაობა მაშინვე დაიწყო და ვიდრე ოფსაიდის ზონაში შევიდოდა, დავითაშვილისგან დროული და უზუსტესი პასიც მიიღო. ტატანაშვილმა კარისკენ სანახევროდ ზურგით მდგომი შალვა ლონლაძე და როინ ონიანი სისწრაფეში დაჯაბნა და ჭანტურიას დიაგონალზე შეუტია. ამერელმა მეკარის პოზიცია წამში შეაფასა და ცაციათი მოძრაობის საპირისპიროდ დაურტყა. ბურთი „ზესტაფონის" კარში შეგორდა.

აბა, ამ გოლით გამოწვეული ამერელთა სიხარული კალმით როგორ უნდა გადმოგცეთ. თასის შესანარჩუნებელ გზაზე ნახევარზე მეტი საქმე გაკეთებული იყო.

„ზესტაფონის" მწვრთნელმა მცველი სევასტი თოდუა მაშინვე მოხსნა და ფიფიას უხმო. შეცვლამდე თამაში ერთი-ორჯერ შეჩერდა და ისე მოხდა, რომ ფიფია მოედანზე გოლიდან ხუთ წუთში შევიდა. მან კი ბურთი მიიღო თუ არა, ისე დატრიალდა, „ამერის" დაცვის ხაზში მაშინვე არეულობა შეიტანა. ჰოდა, გიორგი ჩიხრაძემაც მაშინვე ჩამშლელ ნახევარმცველ მიხეილ მესხს დაუძახა, კონტრშეცვლა გააკეთა. მოედნის „ამერის" ნახევარზე ფიფიას უკვე მესხი დასდევდა, რამდენჯერმე სახიფათოდ წამოწყებული შეტევა უშეცდომოდ ჩაუშალა, ერთ-ორჯერ კი ერთობ ზუსტად იქითაც შეუტია. მესხის გადამკიდე ფიფია ისე ეფექტურად ველარ გამოიყურებოდა, როგორიც მოსალოდნელი იყო, თემურ მახარაძემ ფიფიას გაგა ჩხეტიანი მიაყოლა, მეორე მცველი კახა ჩხეტიანი შეცვალა. იმერლები, ფაქტობრივად, ორი მცველის ამარა დარჩნენ. ეს, ცხადია, გასაკვირი არ ყოფილა. „ზესტაფონი" თამაშს აგებდა და გასატანად დიდი ძალებით შეუტია.

ზესტაფონელებმა მატჩის მიწურულს „ამერის" საჯარიმო, როგორც ხდება ხოლმე, ჩაწოლებებით აიკლეს, „ამერის" საჯარიმოს მისადგომებთან რამდენიმე ჯარიმის უფლებაც მიიღეს, მაგრამ... რეალური და ისეთი ხიფათი, როგორიც მატჩის დასაწყისში „ზესტაფონს" ჰქონდა, მეორე ტაიმში აღარ შექმნილა. თუმცა ქვაჩახიამ ერთხელ იონანიძის დარტყმული, მეორედ კი ედიკ საჯაიას თავური აილო. მეტი უკვე ემოცია იყო, „ზესტაფონი" უტევდა, უტევდა, მაგრამ მათი კომბინაციები წინასწარ გააზრებული არ ჩანდა. სამაგიეროდ, „ამერს" კონტრშეტევებზე კიდევ შეეძლო იმერლების დასჯა, თუმცა საქმე კარში დარტყმამდე არ მისულა...

მსაჯმა 90 წუთს ხუთიც წაამატა. „ზესტაფონი" ისევ გაშმაგებული უტევდა, შარშანდელი კი ველარ გაიმეორა, არადა, ერთი ჯარიმა მახარაძის გუნდმა ზუსტად ბოლო წუთზეც დაარტყა.

გახსოვთ, შარშანდელი ფინალი? მაშინ შალვა ლონლაძემ გამთანაბრებელი თავური სწორედ ბოლო წუთზე დაარტყა... ახლა ვერც მან, ვერც სხვა ზესტაფონელებმა ეს ველარ მოახერხეს...

მერე კი იყო დერეფანი, წაგებულის მიმართ თანაგრძნობა და მოგებულის სიხარულის გაზიარება, იყო ოვაცია და ცრემლი, იყო დაჯილდოების ძალიან ლამაზი ცერემონია, იყო ფოიერვერკი, შამპანური და... არის „ამერი", საქართველოს თასის ორგზის მფლობელი და ორგზის მისალოცი კლუბი...

## პრესკონფერენცია

*ავთანდილ ნარიაშვილი, „ზესტაფონის" მეორე მწვრთნელი:* თემურ მახარაძე შეუძლოდაა და პრესკონფერენციაზე მოსვლა ვერ შეძლო. ჩვენ კარგი მომენტები გვქონდა, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ, „ამერი" კი ღირსეულად გახდა თასის მფლობელი. ამ წაგებით ჩვენი კლუბის პოლიტიკა არ შეიცვლება და მეტი მონდომებით გავაგრძელებთ მუშაობას. ახლა კი ინტერტოტოს თასზე სათამაშოდ მოვემზადებით.

*გიორგი ჩიხრაძე:* ძალიან ნერვული და დაძაბული თამაში იყო, ვიცოდით, რომ „ზესტაფონთან" ბევრ მომენტს ვერ შევქმნიდით, ამიტომ უნდა გვეცადა, რაც გვექნებოდა, ის მომენტები მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. ჩემმა ფეხბურთელებმა ეს შეძლეს, გატანის მერე კი, ბუნებრივია, ჩვენი მიზანი გოლის არგაშვება იყო და ეს ამოცანა შევასრულეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



საჩხერელი ბარამიძის ავტოგოლი

# ყველაფერი ისე დარჩა

## ჩიხურა უმაღლესში, გაგრა პირველში

თბილისი. 27 მაისი. 17 საათი. ამერი. 850 მაყურებელი

**ჩიხურა 2:1დ.დ.(1:1) გაგრა**

1:0 დვალი (29), 1:1 ბარამიძე (90 ს.კ.), 2:1 გიგაური (92)

| | |
|---|---|
| ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, დ. გიგაური, ი. გვეტაძე, ბუცხრიკიძე, ი. ზაბახიძე (თავბერიძე 46), კ. მახარაძე, ლ. ვაშაკიძე, გ. მიქაძე (მ. მიქაძე 58), ჯ. დვალი (ქუხილავა 80) სათადარიგონი: მწყერაშვილი, თ. ჩარგეიშვილი, როგავა მწვრთნელი: ვახტანგ თურმანიძე | გაგრა: ტალახაძე, მგალობლიშვილი, ახობაძე, თოთაძე, მგელაძე, აფრიამაშვილი (ცხადაია 41), შარიქაძე (სუხიშვილი 89), დათუნაშვილი, ტყემელაშვილი, ძამუკაშვილი (ძაგანია 52), მეტრეველი სათადარიგონი: ხომერიკი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, მესხი მწვრთნელი: თამაზ სამხარაძე |

გაფრთხილება: ქემოკლიძე (11), მიქაძე (17), მგალობლიშვილი (92), ბარამიძე (101), მგელაძე (101), ახობაძე (105)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; ზ. ჯვარიძე, კ. გაბრიაძე; ბ. დოგრაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე

მიხეილ ჟორჟოლიანი

**საჩხერის** „ჩიხურა“ უმაღლესში დარჩა, „გაგრამ“ კი ზედიზედ მეორედ წააგო საპლეიოფო მატჩი.

თავდაპირველად ითქვა, თამაში ბოლნისში გაიმართებაო, მაგრამ საჩხერლებმა ქვემო ქართლში თამაშზე უარი განაცხადეს და ამით ალბათ არც ერთ გუნდს არ უნანია — „ამერის“ სტადიონზე ჩინებული მინდორია და გუნდებს ლაღი ბურთაობის საშუალება მიეცათ, თამაშიც საინტერესო გამოვიდა. იყო ბრძოლა, მცირე გაწევ-გამოწევა, კურიოზული გოლები...

თამაში ახალგაზრდა გაგრელებმა უფრო აქტიურად დაიწყეს, თუმც გამოცდილება არ ჰყოფნიდათ და ბოლო მომენტში სცოდავდნენ, ანაც „ჩიხურას“ მეკარე ზვიად სტურუა სჩადიოდა სასწაულებს. მან პირველად გუნდი მე-13 წუთზე გადაარჩინა, როდესაც ლაშა თოთაძის ძლიერად დარტყმული საჯარიმო კუთხურზე მოიგერია.

ამ ეპიზოდმა ზემოიმერლები გამოაფხიზლა, მე-17 წუთზე გიორგი მიქაძემ საჯარიმოში მცველი მოატყუა, თუმც გაზონზე აღმოჩნდა — არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ კი ჩასტვინა, მაგრამ მიქაძეს ყვითელი უჩვენა — საკამათო ეპიზოდი იყო.

სამიოდ წუთში იმავ მიქაძემ დასარტყმელ პოზიციაზე მყოფ კახა მახარაძეს მკერდით დაუგდო ბურთი, მას კი დარტყმა არ გამოუვიდა. „ჩიხურამ“ გასატანი მაინც გაიტანა: 29-ე წუთზე ბუცხრიკიძემ საჯარიმოში კარგად ჩაუკიდა ჯაბა დვალს, მანაც მკერდით შეიგდო ბურთი და მეკარე უშანსოდ დატოვა.

„გაგრამ“ წაგების საფრთხე იგრძნო და მეტოქეს შეუტია. სამხარაძემ შეცვლასაც მიმართა და ტაქტიკურ გადანაცვლებასაც, გაგრელებს თითქოს ანგარიშიც უნდა გაეთანაბრებინათ, მაგრამ... მარჯვენა ფლანგიდან დათუნაშვილმა ჩააწოდა, ზვიად მეტრეველმა ათიოდე მეტრიდან ძლიერად დაარტყა, ყველას გოლი ეგონა, გარდა სტურუასი — საჩხერელთა მეკარემ მკვდარი ბურთი აიღო.

მეორე ტაიმის ბოლო წამამდე ღირსშესანიშნავი და დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. „გაგრა“ უფრო უტევდა, თუმც ქაოტურად, იმატა ნერვიულობამ და დაძაბულობამ...

მსაჯის მიერ წამატებული მეოთხე, ბოლო წუთი იყო, როდესაც ლაშა ვაშაკიძემ მეტოქის კუთხურის ალამთან ბურთის დაჭერის ნაცვლად დროის გაყვანის ახალი მეთოდი, აუტში გადაგდება მოიგონა. გაგრელებმაც სწრაფად მოაწოდეს აუტი და კონტრშეტევა წამოიწყეს, დათუნაშვილის გამჭოლი გადაცემის შემდეგ კი ბარამიძემ ბურთს საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი. ეს იყო და, კვარაცხელიამ ძირითადი დროის დამთავრებისა ჩასტვინა.

„გაგრამ“ მეტოქის საჩუქარი ორი წუთით „შეირგო“ და საპასუხო ჟესტი არ დააგვიანა — დამატებითი დროის მე-2 წუთზე დავით გიგაურმა 18 მეტრიდან არცთუ ძლიერად დაარტყა, მეკარე ტალახაძემ ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და ფეხებშუა გაუძვრა.

ამ გოლმა „გაგრა“ გატეხა, ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაღლაც დაეტყოთ და „ჩიხურას“ რომ ევარგა, მეტსაც გაიტანდა. იმერლები ხშირად სცოდავდნენ, ბოლოს კი კარი ტალახაძემ იხსნა, თუმც უკვე გვიანი იყო...



დავით გიგაურის დარტყმა და ფეხებში გამძვრალი ბურთი

# ახალი სახე: ლევან მჭედლიძე ტოპის ნაკრებში



**საქართველოს** ეროვნული ნაკრები ხვალ ფრანკფურტში შეიკრიბება, 1 ივნისს ჩაფრინდება ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში, საიდანაც კაუნასში გადავა და იქაური დროით 20 საათზე ვარჯიშს გამართავს.

2 ივნისს ლიტვასთან მატჩია, მეორე დღეს კი ნაკრები ფრანკფურტის გავლით ოსერში ჩავა და 6 ივნისს უკვე საფრანგეთთან შერკინებაა.

ნაკრებს თბილისიდან სამი ფეხბურთელი გაჰყვება: გიორგი ონიანი, გრიგოლ ჭანტურია და გიორგი შაშიაშვილი. დანარჩენები კი თავიანთი კლუბებიდან ჩავლენ პირდაპირ ფრანკფურტში.

და მთავარიც, სანაკრებო სიაში ერთი სიახლეა: კლაუს ტოპმიოლერის სიას გამოაკლდა ფეხმტკივანი დავით სირაძე და თითქმის გადაწყვეტილია, რომ მის ნაცვლად ჰერ კლაუსი „ემპოლის“ 17 წლის ფორვარდ ლევან მჭედლიძეს აიყვანს.

მჭედლიძე 19-წლამდელთა ნაკრებს ახლავს შოტლანდიაში მიმდინარე ევროშესარჩევის ელიტ-რაუნდზე, თუმცა 25 მაისს შოტლანდიასთან შეხვედრაში გააძევეს და მესამე ტურში, ანუ დღეს თურქეთთან მაინც ვერ ითამაშებს.

მჭედლიძე ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული თავდამსხმელია, მას იტალიურ „ემპოლიში“ სულ მალე გაუფორმებენ კონტრაქტს — აქამდე ეს ლევანის არასრულწლოვანობის გამო ვერ ხერხდებოდა. საინტერესოა, რომ მჭედლიძეს ჯერ 21-წლამდელთა ნაკრებშიც არ უთამაშია.

ილია ნანობაშვილი

# შვეიცარიული კენჭები

## ოლიმპი, დინამო, ამერი... ჯერ სავარაუდო 29 ივნისს უქჩველი იქნება

**ჩემპიონთა** ლიგისა და უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრა 29 ივნისს გაიმართება შვეიცარიაში, თუმც მანამდე უკვე მოიხაზა საქართველოს კლუბების შესაძლო მეტოქეების ნუსხა.

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე 12 წყვილი იქნება და რუსთავის „ოლიმპი“ განთესილთა შორისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ოლიმპელები ამ 12 გუნდიდან ერთ-ერთს შეხვდებიან: „ტირანა“ (ალბანეთი), ბატე (ბელარუსი), „პიუნიკი“ (სომხეთი), „ხაზარი“ (აზერბაიჯანი), ტვმკ (ესტონეთი), „ტორსჰავნი“ (ფარერები), „ჰაფნარფიორდური“ (ისლანდია), „ასტანა“ (ყაზახეთი), „დუდელანჟი“ (ლუქსემბურგი), „მარსაქსლოკი“ (მალტა), „ნიუ საინტსი“ (უელსი) და ჩრდილოეთ ირლანდიის ჩემპიონი.

შეიძლება ითქვას, რუსთაველთათვის პირველ საკვალიფიკაციოზე ყველაზე არასასურველი მეტოქეები „ხაზარი“, ბატე და „ტირანა“ იქნებიან.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი 14-წყვილიანია და იქ მოხვედრის შემთხვევაში, „ოლიმპი“ განუთესავთა შორის იქნება. რაც შეეხება სავარაუდო მეტოქეებს, ესენი არიან: „სტიაუა“ (რუმინეთი), „რეინჯერსი“ (შოტლანდია), „შახტარი“ (უკრაინა), „ბეშიქთაში“ (თურქეთი), „კოპენჰაგენი“ (დანია), დინამო (ზაგრები, ხორვატია), „გენკი“ (ბელგია), „სლოვანი“, „ლიბერეცი“ ან „სპარტა“ (ჩეხეთი), „დებრეცენი“ (უნგრეთი), „ზალცბურგი“ (ავსტრია), „აპოელი“ (კვიპროსი).

შემდეგ კი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპია, თუმც ჯერ ამაზე ლაპარაკი ნამეტანი ნაადრევია...

უეფას თასი რეგიონებად დაიყო. თბილისის „დინამო“ და „ამერი“ შუა აღმოსავლეთის რეგიონში მოხვდნენ. დინამოელები განთესილთა, ამერელები კი განუთესავთა შორის არიან. „დინამოს“ გარდა განთესილთა შორის მოხვდნენ ის გუნდები, რომლებიც „ამერის“ სავარაუდო მეტოქეები იქნებიან: „პეტრჟალკა“ (სლოვაკეთი), „გროცლინი“ (პოლონეთი), შვეიცარიის თასის მფლობელი, „რიდი“ (ავსტრია), „მატერსბურგი“ (ავსტრია), მტკ (უნგრეთი), „ბელჩატოვი“ (პოლონეთი), „ჰონვედი“ (უნგრეთი), „ზლატე მორავცე“ (სლოვაკეთი), „ზიმბრუ“ (მოლდოვა).

თავის მხრივ, „დინამოს“ სავარაუდო მეტოქეები იქნებიან: „ნისტრუ“ (მოლდოვა), „ვადუცი“ (ლიხტენშტაინი), „დინამო“ (ბრესტი, ბელარუსი), „დინამო“ (მინსკი, ბელარუსი), „ბანანცი“ (სომხეთი), „მიკა“ (სომხეთი), მტკ-არაზი (აზერბაიჯანი), ნეფთჩი (აზერბაიჯანი), „ალმათი“ (ყაზახეთი), აკტობე (ყაზახეთი).

„დინამო“ და „ამერი“ ბადის სხვადასხვა მხარეს კი მოხვდნენ, მაგრამ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე მათი შეხვედრა გამორიცხულია.

ილია ნანობაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ლევან კობიაშვილი: შალკეში ვიქნები და უკეთესი ვიქნები

ლევან კობიაშვილის „შალკემ" ვერა და ვერ მიაღწია ბუნდესჩემპიონობას და თუნდაც მიეღწია, პირადად ჩვენიანისთვის ეს სეზონი წარმატებული ვერ იქნებოდა — თითქმის მთელი მეორე წრე ლევანს სრული მატჩი არ ჩაუტარებია.
„შალკეს" დანავსულობის გარდა, კობის, ცხადია, მოახლოებულ ორ სანაკრებო მატჩზეც ვკითხეთ...

— მთლად ჯანზე ვერ ვარ. სამი-ოთხი დღე საერთოდ არ მივარჯიშია, რაღაც ვირუსი შემეყარა და ავად ვიყავი, თუმც დღეს უკეთ ვგრძნობ თავს. 29 მაისს ნაკრებს ფრანკფურტში შევუერთდები.

— რას იტყვი ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩებზე, რა მიზნები აქვს ნაკრებს ამ თამაშებში?

— მე ახლა მთლიანად ლიტვასთან თამაშზე ვფიქრობ. სამი ქულა უნდა ავიღოთ, ჩვენი მიზანი უდავოდ ესაა. რაც შეეხება საფრანგეთს, მათთან მოგებას ვერ დავგეგმავ — ყველამ იცის, რა დონის ნაკრებს ვხვდებით და კარგი იქნება, თუ ოსერში ამაღლებული განწყობით ჩავალთ.

— ახლა „შალკეზე" ვისაუბროთ: ბოლო წლებში „შალკე" რამდენჯერმე იყო ჩემპიონობასთან ახლოს, მაგრამ...

— ცხადია, როცა მთელი მეორე წრე ლიდერი ხარ და ბოლოს მაინც მეორეზე გადიხარ, წარმოუდგენლად გულსატკენია. დღესაც ვერ დამიჯერებია, რომ „შალკე" ჩემპიონი ვერ გახდა. ყველაფერს ანალიზი სჭირდება, მაგრამ მიზეზი წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები ან ფორმიდან ამოვარდნა იყო — ლინკოლნს დისკვალიფიკაცია ჰქონდა, ლოვენკრანდსი დაგვემტვრა, მე ფორმაში არ ვიყავი...

— ალბათ, „შტუტგარტზე" მეტად „ვერდერისგან" მოელოდით საფრთხეს.

— „შტუტგარტმა" ბოლოს აკრიფა მაგარი ფორმა, თორემ იქამდე, ცხადია, მთავარ კონკურენტად „ვერდერს" ვთვლიდით. ბოხუმში თავიდან მშვენივრად წაგვივიდა თამაში, ვიგებდით და მერე ავირიეთ — დიდწილად იქ წაგებამ ჩაგვძირა.

— შენ უეჭველად რჩები „შალკეში"?

— ვრჩები, რადგან ერთი რომ, ხანგრძლივი კონტრაქტი მაქვს და მეორეც, თვითონაც არ მსურს კლუბის გამოცვლა. დარწმუნებული ვარ, „შალკეში" წლევანდელზე უკეთესი სეზონი მელის.

— ბოლო ტურში „არმინიასთან" მარცხენა მცველი იყავი. როგორ ატყობ, მომავალ სეზონში რა პოზიციაზე გათამაშებენ?

— ეგ ჯერ-არ ვიცი, თუმც მარცხენა თავდამსხმელობას მარცხენა მცველობა მირჩევნია. „ნიურნბერგთან" დამაყენეს გარემარბად და აკი ვერც წამივიდა თამაში... ისე, ყველამ იცის, რომ ცენტრალური ნახევარმცველობა მირჩევნია.

— „შალკე" ჩემპიონთა ლიგაში შეძლებს ღირსეულად თამაშს, ანუ გრანდებთან არ დაიჩაგრება?

— „შალკე" ამ ზაფხულს კარგ ტრანსფერებს გეგმავს. წესით, ცუდად არ უნდა ვითამაშოთ — შარშანწინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე საცოდავად გავვარდით, უეფას თასზე კი ნახევარფინალამდე მივაღწიეთ.

— ბოლოს ლევან ყენიაზეც გკითხავ, რომელიც „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდში იყო გასინჯვაზე. რა შთაბეჭდილება დარჩათ მასზე?

— ყენია ძალიან მოეწონათ და მეც გულით მინდა, რომ „შალკეში" გააგრძელოს კარიერა — ნიჭიერი ფეხბურთელია და აქ უფრო გაიზრდება. თუმცა არის რაღაც საკითხები, რაც პრობლემებს ქმნის: არასრულწლოვანი ლეგიონერები ასე უცებ ვერ აჰყავთ გუნდში, მაგრამ არსებობს გარკვეული პუნქტები, რითაც ეს შესაძლებელია.

**ილია ნანობაშვილი**

# არველაძე დაითარსა, ასათიანი დაითასა

ხვალ საქართველოს ნაკრები ლიტვასთან და საფრანგეთთან ევროშესარჩევი მატჩებისთვის მზადებას იწყებს. გუშინ-გუშინწინ კი ჩვენმა ლეგიონერებმა თავიანთ კლუბებში მეტ-ნაკლები წარმატებით იბრძოლეს...

ყველაზე გასახარი ამბავი შუა კვირაში მოხდა, როცა *კახა კალაძემ* მეორედ მოიგო ჩემპიონთა ლიგა — პოსტსაბჭოთა ქვეყნის არც ერთ ფეხბურთელს მსგავსისთვის არ მიუღწევია.

კალაძის მილანური ტრიუმფიდან რამდენიმე დღე გავიდა, გუშინ კი საქართველოს ნაკრების კაპიტანმა სერია A-ს ბოლო ტურშიც ითამაშა — „როსონერიმ" სტუმრად „რეჯინასთან" 0:2 წააგო და მეოთხე ადგილზე გავიდა. კახა ძირითადში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს.

და ერთიც: შესაძლოა, „რეჯინასთან" კალაძემ თავისი ბოლო მილანური ოფიციალური მატჩი ითამაშა — ჩვენიანმა განმარტა, თუ ძირითად შემადგენლობაში არ მათამაშებენ, „მილანში" გაჩერებული არ ვარო.

ფატალურად უიღბლო — ასე შეგვიძლია შევაფასოთ *შოთა არველაძის* „ალკმაარისთვის" ბოლო ერთი თვე. AZ-მ ჯერ ჰოლანდიის ჩემპიონობა გაუშვა ხელიდან, მერე ქვეყნის თასის ფინალი პენალტებით წააგო, გუშინ კი ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელ პლეი ოფში დაიჩაგრა.

თასის ფინალის დარად, შოთას გუნდი კვლავ „აიაქსმა" გაამწარა. პირველ საპლეიოფო მატჩში „ალკმაარმა" სწორედ არველაძის ბოლო წუთზე გატანილით 2:1 სძლია დედაქალაქელებს, თუმც გუშინ 0:3 წააგო სტუმრად.

ქართველმა ბომბარდირმა სრულად ითამაშა და AZ 56-ე წუთამდე სასურველ 0:0-ს ინარჩუნებდა, მაგრამ... შოთას გუნდი უეფას თასზე ითამაშებს.

*მალხაზ ასათიანს* ნახევარ წელიწადზე მეტია, არ უთამაშია, თუმც რუსული ტიტულების კომპლექტი მაინც შეავსო — ერთადერთი ჯილდო, რაც მალხაზს „ლოკომოტივში" აკლდა, რუსეთის თასი იყო, გუშინ კი რკინიგზელებმა თასის ფინალში „მოსკოვს" დამატებით დროში შოტლანდიელი გარი ოკონორის გატანილით 1:0 სძლიეს და...

ასათიანმა თასის წინა ეტაპებზე ითამაშა და, ბუნებრივია, თასი მანაც ჩაიხუტა.

ამავდროულად, რუსეთში პრემიერლიგის მატჩებიც გაიმართა და კვლავ იყოჩაღა *დავით მუჯირის* „კრილიამ", რომელმაც ამჯერად შინ მოსკოვის „დინამო" 3:2 წააქცია. მუჯირმა 80 წუთი ითამაშა და ერთი საგოლე პასი მიითვალა, ცალკე ორ დინამოელს — დმიტრი ხოხლოვსა და სერგეი კოლოდინს ყვითელი ბარათები აჰკიდა. მუჯირის გუნდმა მეორე ადგილზე აინაცვლა.

ყაზანის „რუბინმა" 3:0 გაანადგურა „ლუჩ-ენერგია" და სრულად ითამაშა *ლაშა სალუქვაძემ*, ხოლო მეორე ქართველი რუბინელი *ნუკრი რევიშვილი* კვლავ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

*ალეკო ამისულაშვილისა* და *ლევან გვაზავას* „ნალჩიკი" 0:0 გაეყარა „როსტოვს", ჩვენიანებიდან კი, როგორც ტრადიციად იქცა, ამისულაშვილმა 90 წუთი ითამაშა, გვაზავა კი შეცვლაზე შევიდა — 33 წუთით.

უკრაინული ტურის ერთადერთი ქართველი მეგოლე *ლაშა ჯაკობია* გახლდათ: კიევის „არსენალმა" სწორედ მისი მე-8 წუთზე გატანილით მოიგო პრინციპული თამაში „კარპატისთან" — ჯაკობიამ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი დაამუშავა და ახლო კუთხეში გაუტანა სტუმართა მეკარეს. ამ გამარჯვებით კიეველი „მეთოფეები" სახიფათო ზონას ასცდნენ.

*ჯაბა კანკავას* „დნიპრომ" შინ 1:1 ითამაშა „კრივბასთან", რომელსაც არც *ვასილ გიგიაძე* ჰყავდა და არც *ლადო ბურდული*. უცნაურია, რატომ შემოსწყრა „კრივბას" მწვრთნელი ქართველ ლიდერებს — ვასო ზედიზედ ორი მატჩია, სათადარიგოებში ზის, ბურდული კი მხოლოდ დუბლებში თამაშობს და აკი „დნიპროს" დუბლებს ორი გოლიც უთავაზა. რაც შეეხება კანკავას, მან 59 წუთი გაატარა მინდორზე.

„ტავრიასთან" 2:1 მოგებულ მატჩში *გიორგი ჭელიძემ* 84 წუთი ითამაშა სტუმრად. ქართველის „ზარიამ" უმაღლეს ლიგაში დარჩენა გაინაღდა.

ქართველთაგან უკრაინაში სხვას არავის უთამაშია — ზოგი დისკვალიფიცირებული იყო, ზოგი მხოლოდ სათადარიგოებშია, ზოგიც 18-კაციან განაცხადშიც ვერ ხვდება.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რეჯინა 0:2 | 69 | შეცვალეს | 18 | 1 | 4 |
| **ჰოლანდია. პლეიოფი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | აიაქსი 0:3 | 90 | | | | |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | შახტარი 2:2 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | შახტარი 2:2 | 0 | | 6 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | შახტარი 2:2 | 0 | | 5 | 0 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ზარია | ს | ტავრია 2:1 | 84 | შეცვალეს | 10 | 1 | 11 |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი | შ | კარპატი 1:0 | 90 | გოლი | 16 | 4 | 12 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | სტალი 1:0 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 22 | 4 | 9 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | სტალი 1:0 | 0 | | 19 | 3 | 9 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | კრივბასი 1:1 | 59 | შეცვალეს | 21 | 4 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | დნიპრო 1:1 | 0 | სათადარიგო | 26 | 11 | 10 |
| ლადო ბურდული | კრივბასი | ს | დნიპრო 1:1 | 0 | | 19 | 1 | 10 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | ხარკოვი 1:0 | 0 | | 17 | 0 | 6 |
| გიორგი ციმაკურიძე | ილიჩევეცი | შ | მ. დონეცკი 0:2 | 0 | | 13 | 0 | 15 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ილიჩევეცი 2:0 | 0 | | 16 | 3 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი | | ტური გამოტოვა | | | 8 | 0 | 11 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ლუჩ-ენერგია 3:0 | 90 | | 4 | 0 | 10 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ლუჩ-ენერგია 3:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 10 |
| დავით მუჯირი | კრილია | შ | დინამო 3:2 | 80 | შეცვალეს, საგოლე პასი | 10 | 2 | 2 |
| ალეკო ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | როსტოვი 0:0 | 90 | | 11 | 0 | 12 |
| ლევან გვაზავა | ნალჩიკი | შ | როსტოვი 0:0 | 33 | შეცვლაზე შევიდა | 9 | 0 | 12 |
| **რუსეთი. თასის ფინალი** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | | მოსკვა 1:0(დ.დ.) | 0 | ტრავმირებულია | | | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

## საქართველოს სუპერთასი
### თბილისი. ვერის ბაღი. 27 მაისი




ბექა ფოლადაშვილის ფოტო

# სუპერაზოტი

**აზოტი 80:67 ავიამშენი**

*17:19, 24:18, 19:10, 20:20*

**აზოტი:** ტულუში (13), ბოისა (4), მალეშევიჩი (6), ბეჟანიშვილი (11), უგრეხელიძე (13); გოგობერიშვილი (12), დიდია (8), მარკოიშვილი (7), ტუჯანი (4), ქოჭუა (2)
**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (4), ნიკოლაძე (12), ბარბაქაძე (17), ბაბიაშვილი (19), ნინიაშვილი; ხოშტარია (4), როდუმტა (9), კეიდია (2), მოსეშვილი, სუხიშვილი, კვიმსაძე
*მსაჯები:* ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი
*კომისარი:* როლანდ ხომერიკი

**ევროპაში** სუპერთასს ჩემპიონი და თასის მფლობელი მომდევნო სეზონის დასაწყისში ათამაშებენ — საზაფხულო არდადეგებს მოილევენ და განახლებულ-დასვენებული შემადგენლობებით ერკინებიან ერთმანეთს. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ გასული სეზონის საუკეთესო გუნდები ახალ სეზონში ცდიან საკუთარ თავს, ამოწმებენ ძალებს და თან ახალი ტიტულით იტკბარუნებენ პირს. საქართველოში სხვაგვარადაა — სუპერთასი სეზონის ბოლო აკორდია, როცა გუნდები გადაღლილ-გამოფიტულები არიან საპლეიოფო ორომტრიალით.

ერთი სიტყვით, გუშინ საკალათბურთო სეზონი სუპერთასის გათამაშებით დასრულდა და ქომაგს ერთხელაც მოუხდა ახლახან გასრულებული საფინალო სერიის მეტოქეების — „ავიამშენისა“ და „აზოტის“ რკენის ხილვა. სხვათა შორის, „ავიატორებმა“ თასი სწორედ რუსთაველებს მოუგეს, ჩემპიონობა ხომ ამ უკანასკნელებს დარჩათ და ამ ტიტულზე ითქმოდა, მესამე და სამართალიო.

„ავიამშენისთვის“ ეს მატჩი რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალება იყო. ათიოდ დღის წინ ლევან მოსეშვილის გუნდმა ფინალური სერიის მესამე და ჩემპიონობის დამკარგველი მატჩი გამანადგურებელი ანგარიშით წააგო რუსთაველებთან და რევანშისტულად იყო განწყობილი. მონდომება ერთია და შესაძლებლობა მეორე — „ავიამშენს“ აკლდა ერთ-ერთი ლიდერი, ნახევარფინალში თსუ-ს დამაქცევარი ირაკლი ბერიშვილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სუპერთასის მოსაგებად მოსეშვილის შეგირდებს უდიდესი ჭაპანწყვეტა მართებდათ.

თავის მხრივ, „აზოტსაც“ აკლდა ერთ-ერთი ლიდერი, თანაც სწორედ ბერიშვილის ამპლუელი ლაშა გამყრელიძე, რაც თანაბარ ვითარებაში კი აყენებდა გუნდებს, მაგრამ, რუსთაველთა რეზერვის გათვალისწინებით, „აზოტს“ გვარიანი უპირატესობა მაინც გააჩნდა.

„ავიამშენი“ ძალიან მობილიზებული და გასამარჯვებლად მომართული გავიდა მოედანზე, მოსეშვილის შეგირდებმა ჩემპიონებს თავიდან გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს და უმეტესად ლიდერობდნენ კიდეც. თბილისელთა შეუპოვრობით ცნობილი ფორვარდი ზვიად ბაბიაშვილი შორიდანაც უტევდა მეტოქეს, ფარქვეშაც შედიოდა და საერთოდ, რუსთაველებს დიდი თავის ტკივილი გაუჩინა.

„ავიამშენის“ 7:0-დან 5 ქულა მისი იყო და როცა „აზოტმაც“ უპასუხო 7 ქულა მიითვალა, ბაბიაშვილმა შორი სამიზნე მომართა და თავისიანები კვლავ გააქროლა — 15:7.

რუსთაველთა დამრიგებელმა წუთშესვენება აიღო და მოედანზე გიორგი მარკოიშვილი გამოიყვანა, ვინაც ბაბიაშვილის დამხმარე დავით ბარბაქაძეს ფრთები შეუკვეცა და „აზოტმაც“ შვება იგრძნო. კოტე ტულუში, რომელიც დიდ შესვენებაზე კალათბურთის ფედერაციის გამოკითხვის შედეგად სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, გაძვრა-გამოძვრა თბილისელთა დაცვაში და თამაში გაათანაბრა.

მეორე მეოთხედში „ავიამშენმა“ სერიოზული განაცხადი გააკეთა, როცა ბაბიაშვილს კამერუნელმა პლასიდე როდუმტამ შეაშველა ხელი და თბილისელები 9 ქულით დაწინაურდნენ — 35:26. კვლავ უსტიაშვილის წუთშესვენება და მოედანზე დაბრუნებული რუსთაველები სულ სხვაგვარად ათამაშდნენ. რამაზ გოგობერიშვილმა წინა და უკანა ხაზი შეაკავშირა, ფარქვეშ დავით უგრეხელიძე გამაგრდა და „აზოტმა“ პირველი ტაიმის დარჩენილი 3 წუთში 15:2 იმარჯვა — დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი მარაგით გავიდა.

მესამე მეოთხედი საბედისწერო გამოდგა „ავიამშენისთვის“. თავიდან თანაბარი და ორმხრივი შეცდომებით სავსე თამაში გაჩაღდა, მერე კი, როცა დავით ბერიშვილი პერსონალურების გამო მოედნიდან გავარდა, რუსთაველებმა აიწყვიტეს. რევაზ დიდიამ შორიდან გაისწორა მიზანი, მას მხარი ფარზე მომუშავე ჟოლივეტ ტუჯანიმაც აუბა და როცა მარკოიშვილმა სამქულიანს მოყოლილი საჯარიმო ჩააგდო, რუსთაველებმა 15-ქულიანი ლიდერობა დაიბევეს. თანაც ამ ჯარიმას „ავიამშენის“ კაპიტანი ირაკლი ხოშტარიაც შეეწირა, რომლისთვისაც ეს მე-5 პერსონალური აღმოჩნდა.

მართალია, თამაშის დამთავრებამდე საკმარისი დრო იყო, მაგრამ „ავიამშენმა“ ფაქტობრივად მთელი უკანა ხაზი დაკარგა და მობილურ „აზოტს“ რომ ველარას დააკლებდა, ცხადზე უცხადესი გახდა. რუსთაველებმა აუღელვებლად მიიყვანეს მატჩი გამარჯვებამდე და ახლახან მოპოვებულ ჩემპიონობას ლაზათი სუპერთასიც შემატეს.

**ირაკლი პერტაია**




26 მაისი

## დასავლეთის ფინალი




**სან ანტონიო 2:1 იუტა**



**იუტა 109:83 სან ანტონიო**

**იუტა:** უილიამსი (31 ქულა, 8 პასი, 5 ჩაჭრა), ფიშერი (11), კირილენკო (2), ბუზერი (27 ქულა, 12 მოხსნა), ოქური; გირიჩეკი (11), ჰარპრინგი (8), მილსაპი (8), კოლინზი (7), არაუხო (2), ბრიუერი (2), ბრაუნი
**სან ანტონიო:** პარკერი (25), ფინლი (3), ბოუენი (5), დანკანი (16), ობერტო (5); ჯინობილი (15), ჰორი (5), ბერი (5), ვონი (3), ელსონი (2), უდრიჰი, ბონერი

# გურმანი მორმონები
## იუტამ სან ანტონიო შეახრამუნა

კარლოს ბუზერი კარლ მელოუნივით ღონიერი ვერაა, დერონ უილიამსი კი ჯონ სტოქტონივით გონიერი, მაგრამ ხალხს უყვარს ისტორიასა და პიროვნებებთან პარალელებით თამაში — მორმონთა შტატში და სოლტ ლეიკ სიტიში „იუტა ჯაზის“ თანამედროვე ლიდერებს ძველ, ლეგენდარულ „ჯაზმენებს“ ადარებენ და სჯერათ, რომ ბუზერ-უილიამსის წყვილი ამ პროვინციული ქალაქის საკალათბურთო გუნდს ისე ააშენ-დაამშვენებეს, როგორც სტოქტონ-მელოუნმა გააკეთეს 80-90-იან წლებში. თანაც ესენი ამპლუითაც შეესატყვისებიან „იუტას“ ლეგენდებს.

დასავლეთის ფინალში თამაში უკვე მიღწევაა ამ „იუტასთვის“, ოღონდ რომელ ჭეშმარიტ მორმონს დააკმაყოფილებს ყბადაღებული ოლიმპიური დევიზი — „მთავარია, მონაწილეობა და არა მოგება“. ფინალში მონაწილეობა, ცხადია, გადასარევია მანამდე 3 წელი უპლეიოფო გუნდისთვის, მაგრამ 0:4 წაგებას ჯერი სლოუნის გუნდს არავინ მოუწონებდა.

არადა, სერია თითქოს აქეთ მიდიოდა, „სან ანტონიო“ ძალზე იოლად ებურთავებოდა და აბურთავებდა „იუტას“ — შინ პირველი ორი თამაში დამაჯერებლად მოუგო და სოლტ ლეიკ სიტიშიც პირველი მეოთხედის შემდეგ 8 ქულით დაწინაურა, მაგრამ...

აქამდე „ჯაზში“ ბრძოლის და სიცოცხლის წყურვილს სწორედ ზემოხსენიებული დუეტი თუ ამჟღავნებდა, მეტადრე კი უილიამსი, რომელმაც წაგებულ თამაშებშიც გვარიანად აწვალა „სპურზის“ დაცვა — ერთხელ 34 ქულა ჩაუგდო, მეორედ კი — 26. ახლა კი ლიდერებს თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი, თანაც ავისმომასწავლებლად აგრიალებულმა დარბაზმა „დელტა სენთერმა“ „სან ანტონიოს“ ჯოჯოხეთური დახვედრა მოუწყო დაგატყდა ეს იდეალურად მომუშავე გუნდი.

უილიამს-ბუზერის შემყურე სხვა „ჯაზმენებმაც“ ირწმუნეს, რომ ცოტა უკეთ ორგანიზებულ, მაგრამ მათივე მსგავსი კალათბურთელებისგან შემდგარ გუნდთან ჰქონდათ საქმე და უფრო თავისუფლად და ამავე დროს ჟინიანად ათამაშდნენ. მესამე მეოთხედში „სან ანტონიოს“ უპირატესობიდან არაფერი შერჩენოდა, მეოთხის დასწყისში კი უკვე „იუტა“ იგებდა 8 ქულით.

მასპინძლებმა მოახერხეს ტონი პარკერის გარდა სტუმართა ყველა ძირითადი მექულის მოშთობა — მანუ ჯინობილი 14 ქულას დააჯერეს, ტიმ დანკანი კი მხოლოდ 16-ს. დანკანს აქამდე ზედიზედ 11 თამაშში გაეკეთებინა სულ ცოტა 20 ქულა და 10 მოხსნა, ახლა კი მას თურქ მეჰმეთ ოქურთან ჭიდილში ეს ჯაჭვი გაუწყდა (16 ქულა, 8 მოხსნა). მართალია, თავად ოქურმა ქულაც ვერ გააკეთა, მაგრამ „იუტას“ ამით დიდად არა დაჰკლებია რა. სხვები ბომბავდნენ „სან ანტონიოს“ კალათს და ამ დაბომბვამ მეოთხე მეოთხედში პირდაპირ სტიქიური სახე მიიღო. მთელმა „ჯაზმა“ აიწყვიტა და შეუძლებელი იყო ამ გუნდის შეჩერება. ეს მეოთხედი — 34:16, თამაში კი 109:83 დამთავრდა. „სან ანტონიომ“ პლეი ოფში კი არა, მთლიანად ამ სეზონში პირველად წააგო ასეთი სხვაობით.

**კოტე ყორშია**




**ჩვენ ერთი გუნდი ვართ!**
„სან ანტონიოს“ წინააღმდეგ სრულიად სოლტ ლეიკ სიტი აღსდგა

## სუმო

# მონღოლური გადატრიალება

## ასასიორიუს ტახტი ხაკუხომ შეარყია



**ოცდამეერთე** საუკუნის პირველ და ჯერაც ერთადერთ იოკოძუნას, მონღოლ ასასიორიუს თანამემამულე ოძეკიმ, ხაკუხომ გაზაფხული ჩაუშხამა. ამ 22 წლის „თეთრმა ფენიქსმა“ მარტის ბაშოს მსგავსად, მაისისაც „ცისფერი დრაკონის“ ძლევით დააგვირგვინა და ზედიზედ მეორედ ასწია პროფესიული სუმოს მთავარი ჯილდო, იმპერატორის თასი.

თუ ორი თვის წინ ხაკუხომ მხოლოდ დამატებით, სუპერფინალურ შეხვედრაში მოიპოვა ჩემპიონობა, ამჯერად ჯერ კიდევ ასასიორიუსთან დაპირისპირებამდე გაინაღდა ტიტული.

ბოლო ტურს მხოლოდ თავად მონღოლებისთვის და სტატისტიკისთვის ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა. განსაკუთრებით გაიოკოძუნებაზე მეოცნებე ოძეკისთვის. ხაკუხო რომ უმაღლესი წოდების რეალური კანდიდატია, ჯერ კიდევ კოკუგიკანური ბაშოს დაწყებამდე გახდა ცნობილი. სუმოს თავკაცებმა მას პირობაც კი წაუყენეს — 12-13 ქულა დააგროვე და ოცნებას აგიხდენთო.

ხაკუხომ დავალება ხომ შეასრულა და ზედ დამატებითი ქულებიც წაამატა. ჯამში კი თხუთმეტამდე ავიდა და ბაშო ძიონსიოთი — ყველა გამარჯვებით დაასრულა. უკვე თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც სუმოს ასოციაციის პრეზიდენტ კიტანოუმიზეა და ამ ბოლო სიტყვას რომელსაც ეს პატივცემული კაცი კომიტეტის საგანგებო სხდომის შემდეგ იტყვის.

თასი ხაკუხომ ბოლოსწინა, მეთოთხმეტე ტურში ოძეკი ტიოტაიკაის ძლევით გაინაღდა, რადგან უახლესმა მდევრებმაც წაიფორხილეს. იოკოძუნამ სულაც თერთმეტი ქულით დაასრულა მაისის ბაშო და ჩემპიონის გარდა, თორმეტქულიან ტრიოს: სეკივაკე კოტომიცუკის და რიგით მაეგაშირებს ასასეკირიუსა და დეძიმასაც ჩამორჩა.

ლევან ცაგურიამ ტურნირი ისევე ცუდად ჩაამთავრა, როგორც დაიწყო. კოკაიმ უქმეებზე კიდევ ორი შეხვედრა წააგო და კოკუგიკანურ ბაშოს ცხრაქულიანი მინუსბალანსით დაემშვიდობა. აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირად წოდებულმა ჩვენებურმა მხოლოდ სამი ქულის აღება შეძლო და ივლისის ბაშოზე გაუარესებული რეიტინგით გამოვა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ჭადრაკი

# ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

## 19-30 მაისი. ეკატერინბურგი. რუსეთი

| მეექვსე ტური | | |
|---|---|---|
| პოლონეთი | 1:3 | საქართველო |
| მონიკა სოჩკო | 0,5:0,5 | მაია ჩიბურდანიძე |
| ივეტა რაილიხი | 0:1 | ლელა ჯავახიშვილი |
| იოლანტა ზავადსკაია | 0:1 | ნინო ხურციძე |
| მარტა პჟეზდზეცკაია | 0,5:0,5 | სოფიო გვეტაძე |
| ვიეტნამი | 4:0 | ბოტსვანა |
| გერმანია | 2:2 | ჩეხეთი |
| ჩინეთი | 3,5:0,5 | სომხეთი |
| რუსეთი | 2:2 | უკრაინა |

| მეშვიდე ტური | | |
|---|---|---|
| საქართველო | 2,5:1,5 | ვიეტნამი |
| მაია ჩიბურდანიძე | 1:0 | კეი თხენ კიმ ლე |
| ლელა ჯავახიშვილი | 0,5:0,5 | თხან ტუ ლე |
| ნინო ხურციძე | 0,5:0,5 | თხი ბაო ჩამ ხოანგი |
| სოფიო გვეტაძე | 0,5:0,5 | თხი თხან ან ნგუიენი |
| უკრაინა | 2,5:1,5 | პოლონეთი |
| სომხეთი | 1,5:2,5 | რუსეთი |
| ჩეხეთი | 0,5:3,5 | ჩინეთი |
| ბოტსვანა | 0:4 | გერმანია |

# ორი მოგება და მესამე ადგილი



მაია ჩიბურდანიძე

**მე-5 ტურში** რუსებთან 1:3 მარცხის შემდეგ ქართველებმა ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს და მესამე ადგილი დაიბრუნეს. ჩვენებმა პოლონელები და ვიეტნამელები დაჯაბნეს და უკრაინელებთან ერთად მედლის მოპოვების შანსს კვლავაც ინარჩუნებენ.

ქართველებიდან საუკეთესო ისევ ლელა ჯავახიშვილია. იგი ჩემპიონატზე წაუგებელია და ქულათა უმეტესობაც მისი მონაგრებულია.

პირველ ადგილზე ჩინელები არიან. ისინი ორი ქულით უსწრებენ მეორეადგილოსნ რუსებს და ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან.

„მომდევნო მატჩი ბოტსვანასთან გვიწევს და, ვფიქრობ, უპრობლემოდ მოვიგებთ, ბოლო ტურში კი გერმანელებს ვხვდებით და თუ იქაც ვიყოჩაღეთ, ოქროში ველარავინ შეგვეცილება“ — განაცხადა ჩინელთა ლიდერმა ჩჟაო სიუემ

**ლაშა გეგეჭკორი**

| სატურნირო ვითარება | |
|---|---|
| 1. ჩინეთი | 13 |
| 2. რუსეთი | 11 |
| 3. საქართველო | 10 |
| 4. უკრაინა | 10 |
| 5. ვიეტნამი | 7 |
| 6. გერმანია | 7 |
| 7. პოლონეთი | 5 |
| 8. სომხეთი | 4 |
| 9. ჩეხეთი | 3 |
| 10. ბოტსვანა | 0 |

მოგებაზე გუნდებს ეწერებათ ორი, ფრეზე კი ერთი ქულა

## რაგბი

# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი წრე. მესამე ტური

### დინამო 11:19 ყოჩები

**დინამო:** გაგნიძე, მურვანიძე, მირცხულავა, ჭიჭინაძე, მეიშვილი, რამიშვილი, ხვიჩია, აზალაძე, კრეპსი, აკლახაშვილი, გრუდკო, ცაბაძე, მაისურაძე, ჯეირანაშვილი, ოდიშარია.
შეცვლაზე შევიდნენ: გრძელიშვილი, ზაქარეიშვილი, რცხილაძე, ჯიქია, გაგაშვილი, ლირსიაშვილი, ანდრეასოვი
1ლ: აზალაძე; 2ს: მაისურაძე, ოდიშარია
**ყოჩები:** ასეიშვილი, კიკნაველიძე, შეყლაშვილი, ხელაშვილი, არჩუაშვილი, ბრეგვაძე, კუჭუხიძე, დგებუაძე, ხელაძე, კობახიძე, კალმახელიძე, თოთაძე, ინაშვილი, მახარაშვილი, დადაშიანი
შეცვლაზე შევიდნენ: ნიკოლეიშვილი, ჩოჩიშვილი, მეტრეველი, ქებაშვილი
3ლ: ბრეგვაძე, კუჭუხიძე, თოთაძე; 2გ: კობახიძე

### თსუ 17:30 არმაზი

**თსუ:** მასხარაშვილი, დონაძე, ალადაშვილი, სურგულაძე, მჭედლიძე, კილასონია, დათუნაშვილი, დარასელია, ნადარეიშვილი, ბაირამაშვილი, კიკვიძე, კაკუკინი, ტურაშვილი, ფერაძე, ტურაშვილი.
3ლ: კილასონია, ბაირამაშვილი, ტეჭნიკური; 1გ: კუპრეიშვილი
**არმაზი:** მაჭარაძე, სოსელია, ჯიშკარიანი, მელიქიძე, ლიპარტელიანი, კანდელაკი, პინაიშვილი, ცირეკიძე, მჟავანაძე, ურჯუკაშვილი, გეთიაშვილი, კაიფაჯიანი, ძნელაძე, ჩხაიძე, მინაშვილი
შეცვლაზე შევიდნენ: ურჯუკაშვილი
4ლ: სოსელია (2), ჯიშკარიანი, ურჯუკაშვილი; 2გ: ურჯუკაშვილი, ძნელაძე, 2ს: ურჯუკაშვილი

# თსუ-ს არმაზი ემცხეთა

**გასულ უქმეებზე** „არმაზმა“ თსუ-სთან პირველი გამარჯვება მოიპოვა. არმაზელთა წარმატებაში ლომის წილი მათმა „საველე მეთაურმა“ გიორგი სოსელიამ დაიდო. კაპიტნის კარგმა თამაშმა დადებითად იმოქმედა გუნდზე და გამოუცდელ თსუ-ს არცთუ მცირერიცხოვან ქომაგთ გული დასწყვიტა. „არმაზმა“ ერთი-ორი ისეთი კომბინაცია გააკეთა, რომელიც რაგბის ნებისმიერი გურმანის გემოვნებას დააკმაყოფილებდა. მცხეთელთა შერკინებამ რამდენჯერმე შეათრია სტუდენტი თანაამპლუელები მათივე ლელოში და პირველივე ტაიმში სერიოზული უპირატესობა მოიპოვა. თითქოს თსუ მეორე ტაიმში გონს მოეგო, რაც გატანილ ლელოში აისახა, მაგრამ მთელი თამაშის განმავლობაში მეტის გაკეთება ვეღარ შეძლო.

„ყოჩების“ დამარცხებას თუ ვინმე შეძლებს, ალბათ ისევ „ლოკომოტივი“, თორემ ჯერჯერობით მათ ვერავინ გაუძლო. ამჯერად „დინამო“ გამოდგა ის დაბალი ღობე, რომელზეც „ყოჩები“ ადვილად გადახტნენ. „დინამომ“ მთელი თამაში, თუ რაგბიზე შეიძლება ითქვას, „უჯიგროდ“ ჩაატარა, მხოლოდ ერთი ლელო გაუტანა კაცნაკლულ „ყოჩებს“ და ისიც მეორე ტაიმის მიწურულს. „ლოკომოტივი“ — „ლელოს“ შეხვედრა კი გადაიდო, რადგან მათი მორაგბეები საქართველოს შვიდკაცა ნაკრებში არიან გამოძახებულნი.

**ზურაბ მიგრიაული**

# ნულოვანი ლონდონი

**საქართველოს** შვიდკაცა ნაკრებმა მსოფლიოს სერიის ლონდონის ტურნირზე ყველა მატჩი წააგო და შეჯიბრი უქულოდ დაასრულა.

ჯგუფში ჩვენებმა ჯერ ავსტრალიასთან 0:36 წააგეს, მერე კი სამოასთან 5:43 და კანადასთან 5:36.

ამის შემდეგ ქართველებმა მეთორმეტე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის განაგრძეს ბრძოლა და იქაც ხელი მოეცარათ — ჯერ ფრანგებთან 0:24, მერე კი უსახელო კენიასთან 5:21 დამარცხდნენ. მომავალ უქმეებზე ჩვენები კარდიფის მსოფლიო სერიის ეტაპზე იშვიდკაცებენ. მერე კი ევროპული სერიის თბილისური ეტაპია. ლონდონური თასი კი ახალმა ზელანდიამ მოიგო, რომელმაც ფინალში 52:18 ფიჯი დაამარცხა.

**ზურაბ მიგრიაული**

## პლაჟის ფრენბურთი

# ბარაქიანი გეორ-გია

პლაჟის ფრენბურთში ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა რენატომ და ჟორჟიმ, იგივე გეორ და გიამ ბარაქიანად დაწყებული სეზონი იტალიაში განაგრძეს. იტალიის ღია ტურნირზე ჩვენმა წყვილმა საბოლოოდ მე-7 ადგილი დაიკავა და სარეიტინგო ქულებთან ერთად საპრიზო სამი ათასი დოლარიც მოინაგრა.

გეორ და გია მსოფლიო რეიტინგში 20-23 ადგილებში ტრიალებენ და საპლაჟო მყუდროქალაქ როზეტოს ტურზე საკვალიფიკაციო ბადეში მოხვდნენ. ოღონდ იტალიურ ფრენბურთობაში მესამე წრიდან ჩაერთნენ და შვეიცარიელების შმედინსის და შმედირის წყვილის 2:0 მოგებაც ეყოთ ძირითად ბადეში მოსახვედრად.

ძირითად ბადეში ჩვენებმა ჯერ ესტონელებს კაისის და ვასიკს 2:1 მოუგეს, მერე კი გერმანელებთან ბრინკთან და დიკერმანთან 1:2 წააგეს. მარცხის მიუხედავად ქართველებმა ბრძოლა განაგრძეს — პლაჟის ფრენბურთში ძირითად ბადეში ერთი წაგება ეპატიებათ.

ამის შემდეგ გეორგ და გიამ ჰოლანდიელებს დე გრეიტერს და რონელდს აჯობეს — 2:0, მერე მათ გზას იტალიელები ლიონე და ვარნიე გაუყენეს. ეშხში შესულმა „ქართველებმა“ არც თვისტომი ბრაზილიელები მარკესი და საიგა დაინდეს, მაგრამ სანახევარფინალო მატჩში დამარცხდნენ ოლიმპიურ ჩემპიონებთან რიკარდოსა და ემანუელთან. არადა ჩვენები სწორედ მათთან ძმაკაცობენ და საერთო მწვრთნელიც ჰყავთ.

როგორც ვთქვით, საბოლოოდ გეორ და გიამ მე-7 ადგილი დაიკავეს და 300 სარეიტინგო ქულასთან ერთად წლეულს უკვე 8 ათასი დოლარი მოინაგრეს.

**ბაჩო სვანიძე**

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი

საპრიზო 13 422 080 €



AFP

# წვიმამ კვირა წაშალა, სერენა კი ვერა

27 მაისი

## პირველი წრე

### კაცები

**მარატ საფინი** (22, რუსეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:1 6:3 6:1; **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — ივო მინარი (ჩეხეთი) 4:6 6:1 6:4 7:6; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — დუშან ვემიჩი (სერბეთი) 7:6 6:4 4:6 6:3

### ქალები

**დინარა საფინა** (10, რუსეთი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 7:5 6:4; **ტამირა პაზეკი** (ავსტრია) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:4 6:0; **ჟუსტინ ენენი** (1, ბელგია) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:4 6:3; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 5:7 6:1 6:1

**„როლან გაროსი“** დაიწყო და არც დაწყებულა. რომ არ დაიბნეთ, აგიხსნით — წლის მეორე სლემტურნირი ოფიციალურად გაიხსნა და ჩოგბურთელებიც გავიდნენ კორტზე, მაგრამ რად გინდა, ცამ პირი მოაღო და თან ისე მალე, რომ გუშინდელი დღის სათამაშო გეგმა გვარიანად აირია — 24 მატჩიდან მხოლოდ 7 ჩატარდა.

საერთოდ, ტურნირის კვირას დაწყება ორგანიზატორთა მიერ შარშან მოგონებული „გენიალური“ იდეა გახლავთ. ასე რისთვის და რატომ მოიქცნენ, ხეირიანად ვერავინ ხსნის. საბაბად ის მოიდეს, რომ სამუშაო დღეებში ცოტა ხალხი მოდის ჩოგბურთის საცქერადო და ამიტომ ერთი უქმე დღე დაამატეს, რომ დამსწრეთა რაოდენობა გაზრდილიყო. ჰოდა, იმის მიუხედავად, რომ ერთი წლის წინ ამ იდეამ არცთუ გაამართლა და მხოლოდ მატჩების განრიგი აშალდაშალა, ორგანიზატორებმა მაინც არ გადაიფიქრეს და წლეულსაც კვირას დაწყება მოინდომეს. მაგრამ პარიზულმა ბუნებამ ასე არ ინება და ჩოგბურთელები სულ რაღაც საათნახევრის გამოსულები თუ იყვნენ კორტებზე, როცა სტიქიამ ისინი ისევ გასახდელებში შერეკა.

გაწვიმებამდე ერთადერთი მატჩის დასრულება იმიტომ მოესწრო, რომ მარატ საფინმა თავისთვის უკვე უჩვეულოდ, დამაჯერებლად ითამაშა და ფერნანდო ვისენტეს მანამდე გამოუყვანა წირვა, სანამ წვიმა დაიწყებოდა. რუსმა გოლიათმა ალბათ საუკეთესო თამაში აჩვენა ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში და ესპანელ ვეტერანს სასტიკად გადაუარა. მარატმა, რომელსაც უყვარს პარიზში თამაში, მაგრამ რომლისგანაც წლეულს ხეირიანს არაფერს ელიან, თითქმის უნაკლოდ იჩოგნავა, რვა ბრეიკი გააკეთა და პირინეელს მხოლოდ ხუთი გეიმი აალებინა.

„მიყვარს გრუნტზე თამაში, მაგრამ აქ ჩოგნაობა განსაკუთრებით მსიამოვნებს — მშვენიერი კორტი, კარგი გარემო და დიდებული მაყურებელი“ — კმაყოფილი იყო ნამატჩევს მარატ საფინი.

როგორც ჩანს, არ ტყუოდა რუსის ძველი მწვრთნელი პეტერ ლუნდგრენი, როცა ამბობდა, მარატი კარგ ფორმაშია და ერთი-ორი წრე თუ გაიარა, არ გაგიკვირდეთ, თუ მერე ბევრს გაამწარებსო. ამ მოსაზრებაზე დგას თავად საფინიც:

„ორი წრე თუ გავიარე, აქაურობას შევეჩვევი და თავსაც კომფორტულად ვიგრძნობ — მერე კი საშიში გავხდები“.

გუშინ კორტზე გასვლა მოასწრო ავსტრალიის ღია პირველობის მოგებებმა სერენა უილიამსმაც. თუმც ეს დედალი ბაყბაყდევი ნაღდად არ ჰგავდა ფავორიტს და ალბათ დიდად მადლობელიც არის, წვიმის გამო მისი შეხვედრა რომ გადაიდო. ეს კი იმიტომ, რომ ამერიკელი ვერაფერს უხერხებდა ცვეტანა პირონკოვას. ბულგარელმა მოულოდნელად კარგად დაიწყო და ნახევარ საათში 5:2-საც იგებდა. სერენამ ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ პირონკოვამ კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და გაწვიმდა კიდეც. უკვე საღამოსკენ, რომ გამოიდარა, ბულგარელმა სეტი კი მოიგო, მაგრამ მერე დასვენებული და გონსმოსული სერენა აბობოქრდა და ცვეტანასგან სახელ-გვარიღა დატოვა.

**კახა ლომაყაშვილი**

# მესამე არგენტინული

მსოფლიოს გუნდური თასი
დიუსელდორფი. გერმანია. თიხნარი
საპრიზო 1 500 000 €

### ფინალი

**არგენტინა 2:1 ჩეხეთი**

**ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) 3:6 6:3 7:6
**აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — იან ჰაეკი (ჩეხეთი) 6:3 6:1
**ხოსე აკასუსო, კალერი** (არგენტინა) — მარტინ დამი, ბერდიხი (ჩეხეთი) 2:6 6:4 10:4

არგენტინელებმა ნამდვილი ნებისყოფა გამოიჩინეს, ჩეხებთან ორჯერ აღმოფხვრეს ჩამორჩენა რითაც ტურნირის 30-წლიან ისტორიაში მესამედ იმარჯვეს მსოფლიოს გუნდური თასის გათამაშებაში.

დიუსელდორფში ჩამთავრებულ ამ საკმაოდ პრესტიჟულ ტურნირზე პატაგონიელებმა მცირე გმირობა ჩაიდინეს — სამხრეთამერიკელები ხომ გერმანიაში საუკეთესო შემადგენლობით არ იყვნენ ჩასულნი, რადგანაც ნაკრების ლიდერებმა „როლან გაროსის“ წინ დასვენება არჩიეს. ჰოდა, ამ გუნდისგან ბევრს არც ელოდნენ, მაგრამ მათ მოულოდნელად იპერვეს თავიანთ ჯგუფში, რისთვისაც ოპტიმალური შემადგენლობის მქონე ჩილეს დამარცხება დასჭირდათ.

ფინალში კი პატაგონილები არც მსოფლიოს რეიტინგსიის მე-10 ნომერ ტომაშ ბერდიხის წინამძღოლობით მოთამაშე ჩეხებს შეუშინდნენ, თუმც სლავთა დასამარცხებლად ნამდვილი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. ეს კი იმიტომ, რომ ბერდიხმა მოვალეობა პირნათლად მოიხადა, ხუან-იგნასიო ჩელა დაამარცხა და თავისი ნაკრები დააწინაურა.

მდგომარეობა მალევე გათანაბრდა, როცა აგუსტინ კალერიმ იან ჰაეკს გადაუარა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჩემპიონის ბედი წყვილთა მატჩში უნდა გარკვეულიყო. არგენტინელებმა აქაც ცუდად დაიწყეს, როცა ჯერ სეტი წააგეს, მეორე პარტიაში კი 2:4 მარცხდებოდნენ, მაგრამ იმავე კალერისა და ხოსე აკასუსოს წყვილმა მოიკრიბა ძალები და ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით სეტებში ანგარიში გაათანაბრა. აქ მატჩ-ტაიბრეიკი დაინიშნა (ეს ახალი გამოგონებაა, სადაც ტაიბრეიკის სისტემა მოქმედებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არა 7, არამედ 10 ქულამდე თამაშდება), რომელშიც სამხრეთამერიკელები გაცილებით კარგად გამოიყურებოდნენ — ფსიქოლოგიური უპირატესობაც ჰქონდათ და ფიზიკური ძალებიც მეტი შემორჩენოდათ, რისი შედეგიც არგენტინელთა ჩემპიონობა გახლავთ.



AFP

### კაცები

პორტშახი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 353 450 €

### ფინალი

**ხუან მონაკო** (არგენტინა) — გაელ მონფილსი (საფრანგეთი) 7:6 6:0

პორტშახში სულ სხვანაირ, გაცილებით სახელიან ფინალს ელოდნენ, რადგანაც ავსტრიის ამ ქალაქში ბლომად ბობოლებმა იკადრეს ჩასვლა. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ტურნირის გადამწყვეტ მატჩამდე განუთესავმა ხუან მონაკომ და მიწვეულმა გაელ მონფილზმა მიაღწიეს.

ამათ ჯახში არგენტინელმა იხეირა და კარიერაში მეორე ტიტული გაინაღდა (პირველი ორიოდ თვის წინ ბუენოს აირესში მოიგო). ახალგაზრდა ფრანგმა კი დაამტკიცა, რომ არასტაბილურობა კვლავ მის მთავარ სისუსტედ რჩება — ენდი როდიკისა და ლეიტონ ჰიუიტის დამცემმა მონფილზმა პირველი სეტში მონაკოსთანაც იომა, მაგრამ აქ ტაიბრეიკზე წაგებით იმდენად გაბრაზდა და დაიბნა, რომ შემდეგ პარტიაში ყურები ჩამოყარა და ნულზეც წააგო.

ქალები. სტამბოლი
თურქეთი. თიხნარი
საპრიზო 200 000 $

### ფინალი

**ელენა დემენტიევა** (2, რუსეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 7:6 3:0 (უარი)

ელენა დემენტიევას ელირსა და წლეულს პირველი ტიტული მოიგო. ტრავმებით განაწამებმა რუსმა კარგი ფორმა აკრიფა, რაც იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის ღია პირველობაზე მისგან ბევრს შეიძლება ველოდოთ. რუსმა ლამაზმანმა სტამბოლში საკმაოდ კარგად იჩოგნავა და მხოლოდ ერთი სეტი წააგო.

ფინალში დემენტიევა მარია შარაპოვას გამამწარებელ თინეიჯერ ფრანგს არავენე რეზაის შეხვდა. აქ ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში იყო, სადაც რუსმა იხეირა. შემდეგ კი რეზაი მუხლმა შეაწუხა, რის გამოც თამაშის გაგრძელება ველარ მოახერხა და მხოლოდ ისღა შეძლო, რომ დემენტიევას გამარჯვება მიულოცა.

### ქალები

სტრასბურგი. თურქეთი
თიხნარი. საპრიზო 175 000 $

### ფინალი

**ანაბელ მედინა-გარიგესი** (6, ესპანეთი) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) 6:4 4:6 6:4

კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ამელი მორესმო შორს არის საუკეთესო ფორმისგან. ფრანგთა პირველმა ნომერმა ვერ შეძლო საკუთარი გულშემატკივრების გახარება და ტრიბუნებზე შეკრებილი 5 000 ფრანგი დაამწუხრა, როცა ანაბელ მედინა-გარიგესთან დამარცხდა, რომელმაც კარიერაში მე-7 ტიტული მოიგო.

ესპანელისთვის კი სტრასბრუგი იღბლიანი ადგილია, რადგანაც მას აქ ორი წლის წინაც უმარჯვია.

**კახა ლომაყაშვილი**



AFP

ელენა დემენტიევა

# ხორვატი კმაყოფილი წავიდა

**26 მაისს** დასრულდა ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობა იუჯითის თასზე 10, 12, 14 და 16-წლამდე ჩოგბურთელთა შორის. თავიდან გოგონებზე გეტყვით. 10-წლამდელთა შორის მარიამ ჭიჭიშვილმა იჩემპიონა, 12-წლამდელებში კი ბარბარე ერისთავმა აჯობა ყველას. მომდევნო ორ ასაკობრივ ჯგუფში, შესაბამისად, სალომე კვიტაშვილი და ანა ჯიქია იყვნენ საუკეთესონი.

ბიჭებს შორის უმცროსებში ალექსანდრე ბათში გახდა ჩემპიონი. 12 და 14-წლამდელებში სანდრო დავლიანიძემ და გიორგი ცივაძემ განვლეს ტურნირი წაუგებლად, უფროსებში კი პირველობა არავის დაუთმო შოთა პაიჭაძემ.

ქართველ ჩოგბურთელებს უახლესი საშინაო ტურნირი 14 ივნისს ელით ავსტრიის ავიახაზების თასზე. აქვე შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ფედერაციის ხორვატი დამკვირვებელი, ხროვეს მაზლჩი, რომელიც ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში, ქართული ჩოგბურთის განვითარებით კმაყოფილი დარჩა.

**ლევსო მაისურაძე**

## 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი



დანილო დი ლუკას გიჟმაჟი ქომაგები არ აკლდა

AFP

# ძველი ჩემპიონები დი ლუკას ჩრდილში

**დღეს** საიუბილეო, რიგით 90-ე „ჯირო დიტალიას" ველოქარავანს დასვენების დღე აქვს. ეკუთვნის კიდეც. ბოლო დღეები კოშმარული იყო — ხუთშაბათს პელოტონი საფრანგეთში გადავიდა, ორი უმაღლესი სირთულის მთა დალაშქრა (ამათგან ერთი პირდაპირი მნიშვნელობითაც უმაღლესი იყო წლევანდელ „ჯიროზე"), პარასკევს 13-კილომეტრიანი სამთო-ინდივიდუალური რბოლა იყო, ხოლო შემდეგ ველოსიპედისტებმა აღმოსავლეთისკენ აიღეს გეზი — კანტუდან ბერგამომდე უაღრესად რთული გზით, რომელზეც ორი ურთულესი უღელტეხილი იყო გადასალახი, 192 კილომეტრი გაიარეს და ეს ყველაფერი გუშინ, სახელგანთქმული სამთო კურორტის კორტინა დამპეცოს სიახლოვეს, დოლომიტის ალპებში ოთხმთიანი და 184-კილომეტრიანი ეტაპით დაგვირგვინდა.

შაბათს ძველმა ჩემპიონებმა, მაგრამ წლეულს დანილო დი ლუკას ჩრდილში მოქცეულებმა — პაოლო სავოლდელიმ, სტეფანო გარძელიმ და ჯილბერტო სიმონიმ სცადეს გაქცევა იმ იმედით, რომ ლიდერთან ჩამორჩენას შეამცირებდნენ. შვიდკაციანი ჯგუფი, რომელშიც სავოლდელის თანაგუნდელი ედი მაცოლენი, მსოფლიოს ჩემპიონი პაოლო ბეტინი, ფორტუნატო ბალიანი და ივან პარაც შედიოდნენ, პასო დი სან მარკოს (1985 მეტრი ზღვის დონიდან) და ლა ტრონტა დოსენას (984 მ) მთებს შორის გაექცა პელოტონის ძირითად ნაწილს და რაღაც მონაკვეთებში წუთზე მეტსაც უგებდა დი ლუკას ჯგუფს.

მთა არა, მაგრამ ეტაპის ბოლო და გადამწყვეტი აღმართი, თანაც ქვაფენილიანი და მიხვეულ-მოხვეული, უკვე ბერგამოს ქუჩებში იყო. იქ სიმონი გაიქცა და, თითქოს გამარჯვებაც მისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ 2001 და 2003 წლების ჩემპიონს ხელი ტელეოპერატორის მოტოციკლმა შეუშალა. უფრო სწორად, ამ მოტოოპერატორმა 2000 წლის ტრიუმფატორ გარძელის არგო, რომელმაც რაღაც მომენტში საკმაოდ ნელა მავალი მოტოს უკან დაიკავა ადგილი, შვება მიიღო და ბოლო ორ კილომეტრზე, რომელიც უკვე ვაკეზე გადიოდა, სიმონის გადაასწრო.

დი ლუკამ მხოლოდ 38 წამი წააგო და საკმაოდ კომფორტული ლიდერობა შეინარჩუნა.

„ლიქუიგასის" ლიდერმა ვარდისფერი მაისურა არც გუშინდელი, მართლაც რომ „სამეფო" — ურთულესი, ოთხმთიანი ეტაპის შემდეგ დათმო. ეგ კი არა, მანამდე მეორე ადგილზე მყოფი მარციო ბრუზეგინი, როგორც კონკურენტი, საერთოდ მოიშორა და მომდევნო მდევრებთან — ენდი შლეკთან, დამიანო კუნეგოსა და სიმონისთან უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ოღონდაც, ესენი ლიდერის უახლოესი მდევრები აღარ არიან — მეორე ადგილზე მაცოლენია, რომელსაც წინა დღის მოიერიშეთაგან ერთადერთს შერჩა ღონე გუშინაც ბოლომდე ებრძოლა.

გუშინდელ უღელტეხილებზე ოთხნი წავიდნენ წინ — იტალიელები რიკო და პიეპოლი, კოლუმბიელი პარა და მექსიკელი კუაპიო. ამათ უკან ლიდერის ჯგუფი იყო, რომელსაც მაცოლენი დანიელ რასმუსენთან ერთად მოწყდა. შემდეგ რასმუსენმა ველარ გაუძლო და ბოლო ორი მთა, თითქმის 30 კილომეტრი მაცოლენიმ ეულად და გმირულად იარა. რაღაც მომენტში ის წინ მყოფ ოთხეულს ერთ წუთამდე მიუახლოვდა, თუმცაღა ბოლო კილომეტრებზე, როდესაც აღმართის დახრილობა 15-17 გრადუსს შეადგენდა, ველარ შეძლო ჩამორჩენის კიდევ უფრო შემცირება და საბოლოო ჯამში ეტაპის გამარჯვებულთან წუთნახევარი წააგო.

ეს გამარჯვებული რიკო იყო, რომელმაც ბოლო ასეულ მეტრებზე ჩამოიცილა თანამგზავრები და ამასობაში უკან, „ვარდისფერმაისურიან" ჯგუფში დი ლუკამ წამოიწყო შეტევა, რომელსაც სიმონმა, შლეკმა და კუნეგომ ველარ გაუძლეს — სიმონი დი ლუკას 37 წამით ჩამორჩა. კუნეგო — 43 წამით, ხოლო შლეკმა ლიდერთან თითქმის წუთი — 59 წამი წააგო.

დღეს, როგორც ვთქვით, დასვენების დღეა, ხოლო ხვალიდან „ჯიროს" დასკვნითი, მესამე კვირა დაიწყება და უკვე ზეგ, მორიგი ურთულესი სამთო ეტაპია სამი უღელტეხილითა და 2236 მეტრ სიმაღლეზე აღმართში ფინიშით.

**მე-14 ეტაპი. განტუ-ბერგამო. 192 კმ**

| | |
|---|---|
| 1 1. სტეფანო გარძელი (იტალია, „აკვა ე საპონე") | 4 სთ 58 წთ 34 წმ |
| 2. ჯილბერტო სამონი (იტალია,„სონი დიუვალი") | |
| 3. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") | |
| 4. ფორტუნატო ბალიანი (იტალია, „პანარია") | |
| 5. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა") | *ყველას იგივე დრო* |

**მე-15 ეტაპი. ტრენტო — აურონცო დი კადორე. 184 კმ**

| | |
|---|---|
| 1. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | 5 სთ 47 წთ 22 წმ |
| 2. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, „სონი დიუვალი") | იგივე დრო |
| 3. ივან რამირო პარა (კოლუმბია, „კოფიდისი") | +10 წმ |
| 4. ხულიო ალბერტო პერეს კუაპიო (მექსიკა, „პანარია") | +32 წმ |
| 5. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა") | +1 წთ 29 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუაგასი") | 68 სთ 00 წთ 55 წმ |
| 2. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა") | +1 წთ 51 წმ |
| 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +2 წთ 56 წმ |
| 4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | +3 წთ 19 წმ |
| 5. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | +3 წთ 23 წმ |



# ლისენკოს ურომ მსოფლიო დააწვინა

**2014 წლის** ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, რუსულმა სოჭმა პიარკომპანია მსოფლიო მასშტაბით გაჩაღა და ახლა წარმოიდგინეთ, რა ხდება თვითონ ამ ქალაქში, რომელიც ჭიანჭველების ბუდეს წააგავს ამ უთოვლო დროს...

ამ უქმეებზე სოჭმა არა საზამთრო სპორტის სახეობაში, მძლეოსნობაში შიდარუსულ ტურნირს უმასპინძლა და მსოფლიომ ეს ამბავიც გაიგო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტურნირი არანაირად არ უკავშირდება ოლიმპიურ კამპანიას. საქმე ისაა, რომ რუსმა უროს მტყორცნელმა ქალმა ტატიანა ლისენკომ ურო 78 მეტრსა და 67 სანტიმეტრზე გატყორცნა და თავისივე მსოფლიო რეკორდი ლამის მეტრით გააუმჯობესა.

ლისენკო მხოლოდ 23 წლისა კი გახლავთ, მაგრამ უკვე სტაჟიანი მერეკორდეა. ეს მისი რიგით მეოთხე მოსფლიო რეკორდი იყო. წინა შანშან, 15 აგვისტოს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში დაამყარა, როცა ზოგადქართული შეხედულებით, ეს ქალისთვის შეუფერებელი სპორტული იარაღი თუ ინვენტარი, 77,80 მეტრზე გატყორცნა.

სოჭში ლისენკოს დიდანს არ ულოდინებია მაყურებელიც და ტურნირის ორგანიზატორ-მონაწილენიც, მაშინვე დაამტკიცა, რომ უროსთან მიმართებაში მსოფლიოში ყველაზე მაგარი ქალია და პირველივე ცდაზე აჩვენა 78,67 მეტრი. მართალია, ოდნავ მოგვიანებით მას გაუგებარი მიზეზების გამო 6 სანტიმეტრი ჩამოაჭრეს და მსოფლიოს რეკორდად 78,61 სანტიმეტრს გაუკეთეს რატიფიცირება, მაგრამ თაყვანისმცემლების თვალში ეს ოდნავადაც ვერ აკნინებს მკლავმაგარი რუსი დედაკაცის სპორტულ დამსახურებას და ღირსებას.

მანამდე ლისენკო სეზონის საუკეთესო შედეგასაც ფლობდა — 11 აპრილს ასევე სოჭში (ჩანს, იქაურ ჰავას და უროს მისთვის სხვა გემო აქვს) ტატიანამ 77,30 შედეგი აჩვენა.

ხომ ასეთია მაგარია, 23 წლის ასაკში ეს ჯან-ღონით აღსავსე ჩათქვირული რუსი გოგო ფორმის პიკზეა, მაგრამ წლეულს მან უკვე ორჯერ მოახერხა წაგება — მარტში უკრაინულ იალტაში მას ფრანგმა მანუელა მონტებრუმ აჯობა, ამ თვის დასაწყისში კი ყატარულ დოჰაში პოლონელმა კამილა სკოლიმოვსკამ ტანიაზე მეტრზე მეტით შორს გატყორცნა ურო.

მაგრამ სეზონი წინაა და ლისენკო სულ მალე გეგმავს ამ ორივეს და ასევე თანამემამულე უროს მტყორცნელ ყოჩაღ გოგონათა არმიის დამარცხებას ერთი, მაქსიმუმ კი ექვსი ხელის გაქნევით. 9 ივნისს მოსკოვის გარეუბან ჟუკოვსკიში უროსმტყორცნელთა საერთაშორისო ტურინირია და იქ, სავარაუდოდ, მსოფლიოს ყველა მძლავრი მეუროვე ქალი ჩავა.

რუსთაგან ლისენკოს კონკურენციას გაუწევენ მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი გულფია ხანაფეევა (მან სოჭში 77,36 შედეგი აჩვენა), ელენა კონევცევა (76,21), ეკატერინა ხოროშიხი (74,87) და ეკატერინა პრიმა (71,75).

**კოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი

# მაკლარენმა კაზინოში წყვილი დასვა




**მონაკოს** გრან პრის ყველანი ყოველთვის გამორჩეული ინტერესით მოელიან. ის ხომ „სამეფო რბოლების“ მარგალიტია, კალენდარს შემორჩენილი ერთადერთი „წმინდა“ ქუჩური ეტაპი. მონტე კარლოს აღმართ-დაღმართიან, უვიწროეს გზებზე ისეთი მძიმე სარბოლო პირობებია, რომ საერთო დისტანცია სტანდარტულზე თითქმის 50 კილომეტრით ნაკლებია.

ამ უნიკალურ, უმოკლეს (3,34 კმ) წრეზე, სადაც ერთი სწორი მონაკვეთიც არაა, გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია. ასე რომ, საპოულე შედეგს უდიდესი, ლამის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

შაბათს ორ-სამ მძღოლს სწორედ ტრაფიკმა გაუფუჭა ცდა და რამდენიმე სასტარტო პოზიციითაც აზარალა. ყველაზე ცუდ დღეში აღმოჩნდა პილოტთუხუცესი დევიდ კულთარდი. ბოქსებიდან ახალგამოსულმა კი შეამჩნია, რომ უკან მიჰყვებოდა ჰეიკი კოვალაინენი, მაგრამ გზა არ დაუთმია, რის გამოც სტიუარდებმა მკაცრად დასაჯეს. მართალია, 36 წლის შოტლანდიელი ირწმუნებოდა, არ ვიცოდი, თუ კოვალაინენი ჩასათვლელ წრეზე მიდიოდა, თორემ გზას როგორ არ დავუთმობდიო, მაგრამ წესი ხომ წესია.

ერთი სიტყვით, ბებერმა „წითელმა ხარმა“ მეორე საკვალიფიკაციო სერიაში მერვე დრო კი აჩვენა, მაგრამ შედეგი გაუუქმდა და ბოლოს, მე-16 პოზიციაზე ჩამოაქვეითეს. თუმც მოგვიანებით გაცხადდა, რომ „დი-სი“ საუკეთესო იყო გამოთიშულთა შორის და ამდენად მე-11 ადგილი ეკუთვნოდა, მაგრამ მეტოქის ბლოკირებისთვის ორპოზიციანი პენალტი მაინც მიიღო და სტარტზე მე-13 დადგა.

ძვირი დაუჯდა შეცდომა კიმი რაიკონენს. აუზთან მოსახვევში მისმა ბოლიდმა ბორდიურებზე ისე იხტუნავა, რომ დაკიდულობა დაუზიანდა და მხოლოდ ბოქსებამდე მიგორებაღა მოახერხა.

კვალიფიკაცია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ მოიგო. ეს მისთვის „მაკლარენით“ პირველი პოულია და, ცხადია, ძალიანაც კმაყოფილი იყო. მას სტარტზე გვერდით თანამაკელი ლუის ჰემილტონი ედგა, მეორე რიგში იყვნენ ბოლო ორ ეტაპზე ჰეთ ტრიქით გამარჯვებული ფელიპე მასა და „გამოჯანმრთელებულ“ „რენოს“ ლიდერი ჯანკარლო ფიზიკელა.

მონაკოს წინა სამ ეტაპზე კვალიფიკაციის მომგებმა რბოლაში პირველობაც არავის დაანება. ამჯერადაც ასე მოხდა. ის კი არა, პირველი ოთხეული როგორც დაიძრა, ფინიშამდე იმავე თანმიმდევრობით მიიჭრა.

სტარტზე მასამ კი დააპირა ჰემილტონთან შებრძოლება, მაგრამ 22 წლის ახალბედამ ოსტატურად გადაუღობა გზა და შეტევის საშუალება მოუსპო. ეს იყო და ეს, ფელიპეს ასწუთიან რბოლაში ერთხელაც აღარ მისცემია წამოწევის საშუალება და სულ უფრო და უფრო უკან რჩებოდა. შუა დისტანციაზე ლიდერ ალონსოსთან პასივი 40 წამი გახდა, თანაგუნდელს კი ნანდო ათი წამით უსწრებდა.

ჰემილტონმა თანდათან მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა, თუმც გასასწრებად მაინც ვერ წამოეწია, თუ იქნებ არ წამოეწია.

შესანიშნავად იჯირითა რაიკონენმა. უკვე დასაწყისში სამ მეტოქეს აუარა გვერდი მძიმე მანქანით, რადგან განსხვავებული, ერთ პიტსტოპიანი ტაქტიკა ჰქონია და ამ გეგმამ გაუმართლა კიდეც. „ყინულის კაცმა“ ბრძოლა ჩასათვლელ, მერვე ადგილზე დაასრულა.

„მაკლარენის“ პილოტებმა დუბლით (პირველ-მეორე ადგილები) გაიმარჯვეს და, რაც უფრო შთამბეჭდავია, უზარმაზარი, არანორმალური სხვაობით აჯობეს „მდევრებს“ — მასას გარდა ყველანი წრეზე მეტით ჩამორჩნენ.

25 წლის ალონსომ ზედიზედ მეორედ მოიპოვა მონაკოს დიდი პრიზი, თანაც ამჯერად ჰეთ ტრიქით (პოული, უსწრაფესი წრე, მოგება) მიაღწია წარმატებას და სატურნირო ცხრილში თავის ჩვეულ პირველ პოზიციაზე დაბრუნდა.

**გია ახალაძე**



AFP

## რბოლის შედეგები

მონაკოს დიდი პრიზი
27 მაისი. მონტე კარლო
დისტანცია 78 წრე — 260,520 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ალონსო (მაკლარენი) | 1:40.29,3 (155,6 კმ/სთ) |
| 2. | (2) | ჰემილტონი (მაკლარენი) | ჩამორჩა 4,1 |
| 3. | (3) | მასა (ფერარი) | 1.09,1 |
| 4. | (4) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 5. | (8) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 1 წრით |
| 6. | (7) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 1 წრით |
| 7. | (11) | ვურცი (უილიამსი) | 1 წრით |
| 8. | (16) | რაიკონენი (ფერარი) | 1 წრით |
| 9. | (18) | სპიდი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 10. | (9) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 11. | (10) | ბატონი (ჰონდა) | 1 წრით |
| 12. | (5) | როსბერგი (უილიამსი) | 1 წრით |
| 13. | (15) | კოვალაინენი (რენო) | 1 წრით |
| 14. | (13) | კულთარდი (რედ ბული) | 2 წრით |
| 15. | (14) | ტრული (ტოიოტა) | 2 წრით |
| 16. | (20) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 2 წრით |
| 17. | (21) | სატო (სუპერ აგური) | 2 წრით |
| 18. | (17) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 2 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | | |
|---|---|---|
| (22) | ალბერსი (სპაიკერი) | გაირა 71 წრე |
| (19) | სუტილი (სპაიკერი) | 54 |
| (6) | ვებერი (რედ ბული) | 18 |
| (12) | ლიუცი (ტორო როსო) | 2 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ალონსო 1.15,726 (158,8 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
ალონსო 1.15,284 (159,7 კმ/სთ)

## Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | გერმანია 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო (მაკლარენი, ესპანეთი) | 8 | 10 | 4 | 6 | ■10 | | | | | | | | | | | | | 38 |
| 2 ჰემილტონი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | | | | | | | | | | | | | 38 |
| 3 მასა (ფერარი, ბრაზილია) | 3 | ■4 | ■10 | ■10 | 6 | | | | | | | | | | | | | 33 |
| 4 რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | ■10 | 6 | 6 | – | 1 | | | | | | | | | | | | | 23 |
| 5 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 5 | 5 | 5 | – | 3 | | | | | | | | | | | | | 18 |
| 6 ფიზიკელა (რენო, იტალია) | 4 | 3 | 1 | – | 5 | | | | | | | | | | | | | 13 |
| 7 კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | – | – | 3 | 5 | 4 | | | | | | | | | | | | | 12 |
| 8 როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 2 | – | – | 3 | – | | | | | | | | | | | | | 5 |
| 9 კულთარდი (რედ ბული, დ. ბრიტანეთი) | – | – | – | 4 | – | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ტრული (ტოიოტა, იტალია) | – | 2 | 2 | – | – | | | | | | | | | | | | | 4 |

კოვალაინენი — 3 ქულა, ვურცი — 2, სატო — 1, შუმახერი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

## კონსტრუქტორთა თასი

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 14 | 18 | 12 | 14 | 18 | | | | | | | | | | | | | 76 |
| 2 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | | | | | | | | | | | | | 56 |
| 3 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | | | | | | | | | | | | | 30 |
| 4 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | | | | | | | | | | | | | 16 |
| 5 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | 7 |

ტოიოტა — 5, რედ ბული — 4, სუპერ აგური — 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 1 | დერბი-ვესტ ბრომვიჩი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 19:15 | 50 | ბუდეიოვიცე-სლავია | 5.50 | 4.30 | 1.45 | 2.41 | 1.14 | 1.08 |
| 19:15 | 51 | იაბლონეცი-სლოვაცკო | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 19:15 | 52 | კლადნო-პლზენი | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 19:15 | 53 | ბოლესლავი-ლიბერეცი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:15 | 54 | პრჟიბრამი-ბრნო | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 19:15 | 55 | სპარტა-მოსტი | 1.12 | 7.20 | 14.00 | 1.00 | 1.03 | 4.75 |
| 19:15 | 56 | ტეპლიცე-ბანიკი | 2:35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 19:15 | 57 | ზლინი-სიგმა | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 77 | ალესუნდი-ვიკინგი | 2.60 | 3.30 | 2.50 | 1.45 | 1.27 | 1.42 |
| 20:00 | 78 | ლინი-ტრომსიო | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 20:00 | 79 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 3.50 | 3.40 | 2.00 | 1.72 | 1.27 | 1.25 |
| 20:00 | 81 | ლილესტრიომი-სტაბეკი | 1.90 | 3.40 | 3.90 | 1.21 | 1.27 | 1.81 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 82 | ბრინი-სკეიდი | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| 20:00 | 83 | ჰაუგესუნდი-ბოდიო გლიმტი | 3.30 | 3.40 | 2.00 | 1.67 | 1.24 | 1.25 |
| 20:00 | 84 | ლოვ ჰამ-მანდალი | 1.85 | 3.40 | 3.90 | 1.19 | 1.25 | 1.81 |
| 20:00 | 85 | მოლდე-კონგსვინგერი | 1.45 | 4.20 | 6.20 | 1.07 | 1.17 | 2.50 |
| 20:00 | 86 | მოსი-სპარტა ს | 1.50 | 4.10 | 5.50 | 1.09 | 1.17 | 2.34 |
| 20:00 | 87 | რაუფოსი-ჰამარი | 4.10 | 3.70 | 1.75 | 1.94 | 1.22 | 1.18 |
| 20:00 | 88 | სოგნდალი-ჰიონეფოსი | 2.00 | 3.40 | 3.40 | 1.25 | 1.25 | 1.70 |
| 20:00 | 89 | ტრომსდალენი-ნოტოდენი | 1.90 | 3.50 | 3.60 | 1.23 | 1.24 | 1.77 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 98 | გიოტებორგი-გაის | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 21:00 | 99 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 21:00 | 100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 22:00 | 101 | იურგორდენი-აიკ | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 21:00 | 104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.40 | 4.10 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.58 |
| | | **29 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 105 | სუნდსვალი-ლანდსკრონა | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **28 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 114 | ტამპერე-ლაჰტი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10098 | გიოტებორგი-გაის | 2.15 | 2.10 | 5.10 | 1.06 | 1.51 | 1.48 |
| 10099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 2.15 | 2.10 | 5.10 | 1.06 | 1.51 | 1.48 |
| 10100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 2.05 | 2.10 | 5.70 | 1.03 | 1.50 | 1.53 |
| 10101 | იურგორდენი-აიკ | 3.10 | 2.00 | 3.10 | 1.21 | 1.54 | 1.21 |
| 10102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 2.50 | 2.00 | 2.40 | 1.11 | 1.22 | 1.09 |
| 10103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 3.00 | 2.00 | 3.10 | 1.20 | 1.52 | 1.21 |
| 10104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.90 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.41 | 1.51 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11098 | გიოტებორგი-გაის | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11101 | იურგორდენი-აიკ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12098 | გიოტებორგი-გაის | 1.70 | 1.90 |
| 12099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1.90 | 1.70 |
| 12100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1.90 | 1.70 |
| 12101 | იურგორდენი-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 12102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 1.70 | 1.90 |
| 12103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 12104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13098 | გიოტებორგი-გაის | 1.70 | 1.90 |
| 13099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1.70 | 1.90 |
| 13100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1.70 | 1.90 |
| 13101 | იურგორდენი-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 13102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 1.70 | 1.90 |
| 13103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 13104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14098 | გიოტებორგი-გაის | 1.45 | 2.40 |
| 14099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1.65 | 2.30 |
| 14100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1.30 | 2.50 |
| 14101 | იურგორდენი-აიკ | 1.90 | 1.90 |
| 14102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 1.75 | 2.10 |
| 14103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 1.80 | 2.00 |
| 14104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.20 | 2.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15098 | გიოტებორგი-გაის | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | იურგორდენი-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16098 | გიოტებორგი-გაის | 1.24 | 3.60 |
| 16099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1.30 | 3.00 |
| 16100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1.22 | 3.40 |
| 16101 | იურგორდენი-აიკ | 1.80 | 1.85 |
| 16102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 1.45 | 2.45 |
| 16103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 1.65 | 2.05 |
| 16104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.11 | 5.70 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17098 | გიოტებორგი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ჰალმსტადი-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17101 | იურგორდენი-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ატვიდაბერგი-ბანკეფლო | 1.85 | 1.95 |
| 17103 | დეგერფორსი-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ნორჩიოპინგი-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნეტავ ლივერპულში ვიყო
## ეტოოს ინგლისურიც სცოდნია...

**„ბარსელონას“** ვარსკვლავმა სამუელ ეტოომ თქვა, „ლივერპულში“ რომ მეთამაშა, რა მშვენიერი იქნებოდაო...

რაო? რაო?

26 წლის კამერუნელი ხომ „ლივერპულის“ მწვრთნელ რაფა ბენიტესის სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველი წერია. დიახ, ბენიტესი ეტოოს შეძენას ამ ზაფხულშივე შეეცდება და თუ თავდამსხმელის ზემომოყვანილ ნათქვამს მრავალმნიშვნელოვან განცხადებად ჩავთვლით,' შეიძლება, გარკვეულ დასკვნებამდეც მივიდეთ... წინასწარ დასკვნებამდე მაინც.

„ლივერპულელთა ყველაზე დიდი პლუსი გუნდური სულისკვეთებაა — თქვა კამერუნელმა — თუმცა, მე თუ მკითხავთ, მათ თამაშებს, უპირველეს ყოვლისა, ფანები იგებენ. ისინი საუცხოონი გახლავან. ტრიბუნაზე ასეთ ფანებს ნებისმიერი ფეხბურთელი ისურვებდა. მე „ენფილდ როუდზე“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი მაქვს ნათამაშევი და ვიცი რასაც ვამბობ. სიამოვნებით ვიქნებოდი „ლივერპულის“ ფეხბურთელი, თუ ასეთ მხარდაჭერას ვიგრძნობდი. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ინგლისური ფეხბურთი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. უკვე მრავალჯერ ვნახე ინგლისური გუნდების მონაწილეობით მეტად ამაღელვებელი მატჩები. მერედა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამ ქვეყნის გულშემატკივართა ქცევა აღმაფრთოვანებს. მათ მენტალიტეტს საოცრად დიდ პატივს ვცემ. ინგლისელები თავიანთ გუნდს უჭერენ მხარს და სწორედ ამ დადებითი დამოკიდებულებით არიან დიდებულნი. მათგან განსხვავებით, ესპანეთში მეტოქეებს ლანძღავენ და ებრძვიან. ინგლისსა და ესპანეთს შორის მთავარი განსხვავებაც სწორედ ეს არის“.

**პაპუნა კედია**

## მერის კოჭი

**ტულუზის** მერი ჟან-ლუკ მუდსენი აუზში ჩააგდეს და კოჭი მოიტეხა.

„ტულუზმა“ ბოლო ტურში „ბორდოს“ მოუგო და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური გაინაღდა. ნამატჩევს ზეიმისას ჯერ კლუბის პრეზიდენტი ოლივიე სადრნი ჩააგდეს ფეხბურთელებმა აუზში, მერე კი ქალაქის მერიც მიაყოლეს. მუდსენმა პიჯაკი გაიხადა ტელეფონი და საკრედიტო ბარათი არ დამისველდესო, აუზის ფსკერზე კი ფეხი ცუდად დადგა და სამი კვირა ფეხშეხვეული ივლის.

## დირექტორის ბოლო

**კარელ პობორსკი** დღეს კარიერას დაასრულებს. 35 წლის ჩეხი, ვისაც ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი უთამაშია, „ბუდეიოვიცეს“ ღირსებას იცავდა ორი სეზონის განმავლობაში და „სლავიასთან“ საშინაო შეხვედრით ფეხბურთს დაემშვიდობება.

ამას წინათ იგი ნაკრების ტექნიკურ დირექტორად დანიშნეს და სამსახურიც უკვე იშოვა.

ჩემპიონატში პობორსკის 234 მატჩში 64 გოლი გაუტანია, ნაკრებში კი 118-ში — 8. იგი ჩეხეთის სამგზის და ინგლისის ერთგზის ჩემპიონია, 1999 წელს კი პორტუგალიის თასი მოიგო.

## ორნი მარსელში

**ჩემპიონატში** მეორე ადგილზე გასულმა „მარსელმა“ ორი ფეხბურთელი შეიძინა: „რენიდან“ 23 წლის მცველი ჟაკ ფაცი, „ლიბერნიდან“ კი ფაცის თანატოლი ვინსენ გრანი.

რენელი ფეხბურთელი საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრებში 2001 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო კლუბში 142 მატჩი ითამაშა.

## რობის ჩაფარი ეპატიჟება

**„დეილი მირორის“** ცნობით, „ლივერპულიდან“ წასული რობი ფაულერი „რეინჯერსთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას. შოტლანდიური კლუბი ინგლისელს სთავაზობს კონტრაქტს, რომლითაც კვირაში 20 ათას გირვანქას მიიღებს.

ფაულერს „პორტსმუთიც“ ეპატიჟება...

**ვაჟა ხუციშვილი**

# დიდიე დეშანი უხმოდ წავიდა
## იუვენტუსს სიგარის სუნი ეცა

**დიდიე დეშანი** ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელი აღარ არის... გავრცელებული ცნობით, იგი სერია B-ს ბოლო ორ მატჩშიც არ გაუძღვება გუნდს.



ამბობენ, ახალგაზრდა ფრანგი სპეციალისტი სამშობლოში დაბრუნდება და „ლიონიდან“ წასულ ჟერარ ულიეს შეცვლისო. „ბებერი ქალბატონის“ თავკაცობის მთავარი კანდიდატი კი მარჩელო ლიპია...

ეს ყველაფერი ცოტა მოულოდნელი კი გახლდათ, მაგრამ დეშანის სავარაუდო წასვლაზე უკვე დიდი ხანია, საუბრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე ამბობდა, თანამშრომლობის გაგრძელება გვინდაო, აშკარად ჩანდა, რომ „ბიანკონერიში“ იდეალური ვითარება ნამდვილად არ იყო.

ოფიციალური მიზეზი ჯერ არ დასახელებულა. ვერსია კი ძველებურია — დეშანს უთანხმოება ჰქონდა დირექტორთა საბჭოსთან და განსაკუთრებით სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოსთან.

პარასკევს ღამე პირველად SKY TG24-მა გაავრცელა ინფორმაცია, დეშანის წასვლის თაობაზე. შაბათს დილით, ეს სხვა ევროპულმა სააგენტოებმაც გააკეთეს. „იუვენტუსმა“ უმალ უარყო ეს ცნობა, მაგრამ რამდენიმე საათში ოფიციალურად დაადასტურა...

„იუვემ“ დავიდ ტრეზეგეს და პაველ ნედვედის გოლებით „მანტოვას“ 2:0 მოუგო. ტურინელებს სერია A-ს საგზური ისედაც განაღდებული ჰქონდათ, ამ გამარჯვებით კი პირველი ადგილიც გაინაღდეს. შეხვედრისას დეშანი არაფერს იმჩნევდა, მატჩის შემდეგ პრესკონფერენციას არ დასწრებია, თუმცა SKY ITALIA-ს ჟურნალისტების თქმით, მათთან საუბარში ფრანგმა დაადასტურა, რომ კლუბი დატოვა...

სიგარამოყვარული ლიპის გარდა კანდიდატებად დასახელდნენ ჯანლუკა ვიალი, ვალტერ ნოველინო, დელიო როსი, ფრანჩესკო გვიდოლინი, კლაუდიო ჯენტილე, ანტონიო კონტე და ფაბიო კაპელო. თუმცა კაპელოს დაბრუნება ნაკლებ სავარაუდოა — იგი არც ფანებს ეხატებოდათ გულზე და რამდენიმე ფეხბურთელთან უთანხმოებაც ჰქონდა.

„ამას ნამდვილად არ ველოდით და გაოცებულნი ვართ. დეშანმა ბოლო პრესკონფერენციაზეც თქვა, რომ „იუვენტუსში“ საქმიანობის გაგრძელება სურდა და მას ჩვენც სამწლიანი პროექტის ნაწილად განვიხილავდით. კაპელოს შესაძლო დაბრუნება? ვფიქრობ, ეს ძალიან ძნელი იქნება. საერთოდ, მომავალ მწვრთნელზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ვითარებაში კარგად უნდა გავერკვეთ“ — თქვა „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ.

„ბებერი ქალბატონის“ ფანობა კი ორ ნაწილად გაიყო — დეშანის წასვლა ბევრს გაუხარდა, ხოლო ზოგმა ფრანგს დაუჭირა მხარი და კლუბის დირექტორთა საბჭო გალანძღა.

ულტრასებმა საგანგებო განცხადებაც გააკეთეს: „ჩვენ გვჯერა დეშანის. იმაშიც დარწმუნებულნი ვართ, რომ აიძულეს, წასულიყო. იმის ნაცვლად, მადლობა გადაეხადათ, ცუდად მოექცნენ. დიდიე დიდი ადამიანი, ნამდვილი კაცი და პროფესიონალია. კლუბის მფლობელებს ვთხოვთ, სასწრაფო ზომები მიიღონ დირექტორთა საბჭოს წევრების წინააღმდეგ. ისინი ამ 109-წლიანი დიდი ტრადიციებისა და ისტორიის კლუბს ჩირქს სცხებენ და გვარცხვენენ.“

ფანებმა ისიც თქვეს, რომ ფაბიო კაპელოს დაბრუნების წინააღმდეგი არიან. მათი ფავორიტი და საყვარელი მწვრთნელი კვლავ მარჩელო ლიპია.

დეშანს კი ფრანგული „ლიონი“ ეპატიჟებაო...

**გიორგი კაკაბაძე**

# ტოტის შვებულება ფირფიტისაა



**ფრანჩესკო ტოტიმ** შარშან თებერვალში კოჭის სერიოზული ტრავმა რომ მიიღო და მას მერე ფეხში ჩადგმული ფირფიტით თამაშობს, ალბათ იცით. ახლა კი ამ ფირფიტის ამოღებისა და ოპერაციის დრო დადგა, მაგრამ „გლადიატორთა“ კაპიტანი იმდენად კარგ ფორმაშია, ფიქრობს, ეგებ ოპერაცია რამდენიმე თვით ან სულაც წლით გადამედოო. თუმცა პროფესორი მარიანი ამის გაკეთებას არ ურჩევს...

„ქირურგიული ჩარევა ძალიან საჩქარო არ არის. ტოტიმ ფირფიტით თამაში რომ გააგრძელოს, არაფერი დაეტყობა, თუმცა ის მაინც ამოსაღებია, დატოვება ძვლის დეფორმაციის საშიშროებას გამოიწვევს, რაც მერე შექმნის პრობლემებს. აჯობებს, მან ოპერაცია ახლა გაიკეთოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სანახევროდ ან მთლიანად ჩაუშლის არდადეგების პერიოდს“ — თქვა მარიანიმ.

მოკლედ, თუ ტოტი ოპერაციის გაკეთებას გადაწყვეტს, ერთი თვე მკაცრ რეჟიმში უნდა გაატაროს და დაისვენოს. აქედან ორი კვირა ფეხს წყალი არ უნდა შეეხოს...

**კოკი კანდელაკი**

# გულიდან ფეხამდე ბოთლია

**გუშინ** პოლ გესქოინი (ბუნებრივია, ეს ინგლისელი ვარსკვლავი არ დაგვიწყებიათ და მის შეხსენებაზე აღარ დავიხარჯებით) საავადმყოფოში... 40 წლისა მოიყარა. ერთი ხნის წინ გაზა გულ-მკერდის არეში ტკივილებს უჩიოდა — რაც დუბაიში გამგზავრების შემდეგ დაეწყო — შაბათ საღამოს კი გული გაუხდა ცუდად.

თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ დუბაიდან ჩამოსვლის შემდეგ ფეხები ეწვოდა და კატეგორიულად ამატებს, რომ მის ცუდად გახდომასთან ალკოჰოლს არანაირი კავშირი არ აქვს.

„დალევა რა შუაშია, ყველაფერში ფეხებია დამნაშავე — თავი იმართლა გესქოინმა — დუბაიში სისულელე ჩავიდინე, ქვიშაზე ფეხშიშველამ ვითამაშე ფეხბურთი“.



მაგრამ ინგლისელმა ჟურნალისტებმა გაიკითხ-გამოიკითხეს და მიაგნეს მათ თანამემამულე 18 წლის სტუდენტს, რომელიც გაზას დროს ცხოვრობდა საუდის არაბეთში, სადაც თავისი თვალით უყურებდა, როგორ აშრობდა ყოფილი ვარსკვლავი ადგილობრივ ბარებში ბოთლებს.

გესქოინის აგენტმა მხარი, ცხადია, თავის კლიენტს დაუჭირა და თქვა, რა გული, რის გული, კაცს ფეხები დაეწვაო და ფეხებსა და ქვიშაზე იგივე ამბავი მოჰყვა...

**პაპუნა კედია**

## გერმანია

### თასის ფინალი

**შტუტგარტი 2:3დ.დ.(2:2) ნიურნბერგი**
1:0 კაკაუ (20), 1:1 მინტალი (27), 1:2 ენგელჰარდტი (47), 2:2 პარდო (80პ), 2:3 კრისტიანსენი (109)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ოსორიო (ბოკა 68), ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ხედირა (ტასკი 100), ჰიცლშპერგერი, ჰილბერტი, და სილვა (გომესი 46), კაკაუ
**მწვრთნელი:** არმინ ფეე
**ნიურნბერგი:** რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, ნიკლი (სპირანოვიჩი 73), პინოლა (ბანოვიჩი 115), გალაშეკი, ენგელჰარდტი, კრისტიანსენი, მინტალი (პოლაკი 35), საენკო, შროტი
**მწვრთნელი:** ჰანს მაიერი
**გაფრთხილება:** მეირა, ნიკლი, ოსორიო, შროტი, ხედირა, სპირანოვიჩი, გომესი, გალაშეკი
**გაძევება:** კაკაუ (31)
**მსაჯი:** ვაინერი
74 400 მაყურებელი



AFP

# შტუტგარტს თასი ქეიფში დაეკარგა

„ნიურნბერგმა" მეოთხედ მოიგო თასი და საამისოდ 45-წლიანი ლოდინი დასჭირდა. ჩემპიონ „შტუტგარტს" ნახევარი საათის თავზე გაუგდეს კაკაუ, რომელმაც ანგარიში გახსნა და კაცნაკლული გუნდი დამატებულ დროშიღა გატყდა. კაკაუმ ანდრეას ვოლფთან ბურთისთვის ჯაჯგურში, ნერვები ვეღარ მოთოკა და მეტოქეს ხელი გაარტყა. ეს მსაჯის თვალწინ მოხდა და მიხაელ ვაინერმა ბრაზილიელი გააძევა.

გასაძევებელი იყო „შტუტგარტის" კაპიტანი ფერნანდო მეირაც, ვინაც მარეკ მინტალს ისე გამოუსვა ფეხი, რომ სლოვაკი ფორვარდი საავადმყოფოში გააქანეს მუხლის მძიმე ტრავმით.

ჩემპიონი კაკაუმ დააწინაურა კოხტა გოლით — ბურთი მკერდიდან დაუშვა და რაფაელ შეფერს შორ კუთხეში გაუტანა. მარეკ მინტალმა უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა შვიდ წუთში და ამის მერე გახდა მოედნიდან საკაცით გასაყვანი.

მეორე ტაიმის დასაწყისში „ნიურნბერგი" მარკო ენგელჰარდტის თავური გოლით, რომელიც კუთხურს მოჰყვა, წინ გავიდა. ათკაცა „შტუტგარტი" მატჩის ბოლოს მიეძალა მოწინააღმდეგის საჯარიმოს და გომესის წაქცევისთვის პენალტი მოინაგრა. პაველ პარდომ თერთმეტი მეტრიდან გაიტანა და თამაში დამატებით დროში გადავიდა, სადაც პირველი ტაიმის მიწურულს იან კრისტინსენმა 25 მეტრიდან დაჰკრა და ბურთი ცხრიანში შეაგდო.

გერმანელი მიომხილველების აზრით, „შტუტგარტი" საჩემპიონო ზეიმს გადაჰყვა და წინა შაბათიდან სამშაბათამდე იქეიფეს, რამაც მოსამზადებელი გეგმები არია.

ამაზე არმინ ფეემ თქვა, სისულელეაო: „ათი კაცით ვუგებდით მეტოქეს და ვინც ნახა, როგორ ვიბრძოლეთ, ვერ იტყვის, რომ ჩემი გუნდი მოუმზადებელი იყო".

**გაჟა ხუციშვილი**

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XXXV ტური

ზანქტ პაული — დინამო 2:2; ლევერკუზენი (მ) — ვუპერტალი 0:3; ჰამბურგი (მ) — ერფურტი 0:0; კილი — დიუსელდორფი 2:0; მიონხენგლადბახი (მ) — ოსნაბრიუკი 0:4; უნიონი — ლიუბეკი 1:1; ვილჰელმშავენი — დორტმუნდი (მ) 0:2; ემდენი — მაგდებურგი 4:2; ჰერტა (მ) — ვერდერი (მ) 0:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### XXXIII ტური

ვეჰენი — ჰესენი 2:1; მიუნხენი (მ) — ბაიერნი (მ) 1:1; დარმშტადტი — ინგოლშტადტი 2:2; პირმასენსი — ელვერსბერგი 1:0; როიტლინგენი — აალენი 2:1; ზაარბრიუკენი — კაიზერსლაუტერნი (მ) 0:0; პფულენდორფი — შტუტგარტი (მ) 1:0; ზიგენი — კარლსრუე (მ) 2:2; კიკერსი — ჰოფენჰაიმი 3:1

## ინგლისური ლივორნო

**უცნობი** ინგლისური კლუბის სკაუტები გუშინ „ლივორნო" — „ატალანტას" მატჩს დაესწრნენ მასპინძელთა ფორვარდ კრისტიანო ლუკარელის სანახავად. ამ თვის დასაწყისში ლუკარელი ინგლისში ყოფილა და უთქვამს, აქაური ფეხბურთი ძალიან მომწონსო...

„ბრიტანეთში რომ შემეძლოს ქალაქ ლივორნოს გადატანა, ბედნიერი ვიქნებოდი" — განაცხადა ფეხბურთელმა.

## პინციმ შვიდი შეასრულა

**„უდინეზეს"** კაპიტანმა ჯამპიერო პინციმ გუშინ „პალერმოსთან" ბოლო მატჩი ითამაშა უდინელთა მაისურით.

„შვიდი წელი გავატარე აქ და კარიერის სხვაგან გაგრძელება მსურს. ამის შესახებ უკვე ვესაუბრე პრეზიდენტს" — თქვა პინციმ, რომელიც გუნდში 2001 წელს „ლაციოდან" გადავიდა.

## ჩხუბი ნათასევს

**50 გულშემატკივარი** და 10 პოლიციელი დაშავდა ბელგიის თასის ფინალის შემდეგ, რომელშიც „ბრიუგემ" „სტანდარდს" 1:0 მოუგო. ბრიუგელთა 14 ფანი დააკავეს პოლიციასთან ჩხუბის გამო. 10 სამართალდამცავი, ზოგი ცხვირგატეხილი, საავადმყოფოში გააქანეს.

## მოლდოვანის დასასრული

**რუმინეთის** ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ვიორელ მოლდოვანმა კარიერა დაასრულა. ბოლოს იგი ბუქარესტის „რაპიდში" თამაშობდა და ამის შესახებ „პოლიტექნიკასთან" მოგებული თასის ფინალის შემდეგ განაცხადა.

35 წლის მოლდოვანს „გლორიაში", „დინამოში", „რაპიდში", „ქსამაქსში", „გრასჰოპერში", „სერვეტში", „ქოვენტრიში", „ფენერბაჩეში" და „ნანტში" უთამაშია. ნაკრებში 70 მატჩში 26 გოლი გაიტანა.

**გაჟა ხუციშვილი**

## შვედეთი

### ალსვენსკა. IX ტური

ჰამარბი — ელფსბორგი 0:1; კალმარი — ტრელებორგი 0:1; მალმიო — გეფლე 1:1. *ჰალმსტადი — ბრომაპოიკარნა, ჰელსინგბორგი — იორებრო, გიოტებორგი — გაის და იურგორდენი — აიკ დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:9 | 16 |
| მალმიო | 8 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 13 |
| კალმარი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 13 |
| გეფლე | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | 12 |
| ჰამარბი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:5 | 11 |
| გიოტებორგი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| ჰალმსტადი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| იურგორდენი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:6 | 10 |
| აიკ | 7 | 3 | 1 | 3 | 6:8 | 10 |
| გაის | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 |
| ტრელებორგი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:9 | 7 |
| იორებრო | 7 | 1 | 4 | 2 | 5:8 | 7 |
| ბრომაპოიკარნა | 7 | 1 | 3 | 3 | 8:14 | 6 |

### სუპერეტა. VII ტური

იორგრიტე — ჰეკენი 1:1; იონკოპინგი — სილვია 0:4; ლიუნგსკილე — მიალბი 0:0; სირიუსი — იოსტერსი 3:1. *ატვიდაბერგი — ბანკეფლო, დეგერფორსი — ენჩიოპინგი და ნორჩიოპინგი — ფალკენბერგი დღეს გაიმართება*

# თქვენი შეურაცხყოფა ჩემი თვითმიზანი არ იყო

## მილანმა ინტერს სკუდეტო ... გაუკეთა

**პარასკევს** „მილანმა" ჩემპიონთა ლიგის მოგება იზეიმა. გუშინ კი ქალაქის მეორე გრანდის, „ინტერის" ზეიმი გახლდათ — „ნერაძურის" ოფიციალურად გადასცეს სკუდეტო. თუმცა გვინდა, ამჯერად თქვენი ყურადღება პარასკევს მომხდარ ერთ-ერთ ამბავზე გავამახვილოთ.

საქმე ისაა, რომ „როსონერის" ქომაგებს ზეიმისას ასეთი ტრანსპარანტი ეჭირათ ხელში — თქვენი სკუდეტო ... გაიკეთეთო. ერთი ხანობა ეს ბანერი იმ ავტობუსის წინა მხარეზეც იყო გამოკრული, რომელზეც „მილანის" ფეხბურთელები იყვნენ და გულშემატკივრებს ხელს უქნევდნენ, ოქროს მედლებსა თუ ჩემპიონთა თასს უჩვენებდნენ და ერთი სიტყვით, მათთან ერთად ხარობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ზემონახსენები ბანერი ცოტა ხნით ხელში მასიმო ამბროზინისაც ეჭირა და დიდი სიხარულით აფრიალებდა, რის გამოც მოგვიანებით ბოდიში მოიხადა.

„როცა ასეთ დიდ წარმატებას ზეიმობ, ეიფორიაში ხარ და თავს ისეთი რაღაცების უფლებას აძლევ, რასაც საღ გონებაზე არ გააკეთებდი. მეც ასე მომივიდა, ეს უბრალო გართობა და ხუმრობა გახლდათ. ფეხბურთი მხოლოდ გალიმებული სახით გაკეთებული ოფიციალური განცხადებებისგან და კარგი მანერებისგან არ შედგება. ამგვარი ირონიული ხუმრობები და გართობაც ჩვეულებრივი ამბავია, სერიოზული შეურაცხყოფის გარეშე. კარგად მესმის, რომ სულელურად გამოვიდა და ბოდიშს ვიხდი, არავის შეურაცხყოფა არ მინდოდა. ეს ყველაფერი ეიფორიულ მომენტში მოხდა და იმედია, ამის გამო ვინმე უხამსობას არ დამაბრალებს, რადგან ჩემს 15-წლიან კარიერაში ყოველთვის კორექტულად და ნამდვილი პროფესიონალივით ვიქცეოდი" — განაცხადა ამბროზინიმ.

ამ ინციდენტზე კომენტარი „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატისაც სთხოვეს: „ვერაფერს გეტყვით. შეგვიძლია, ეს თამაშის წესების შემადგენელ ნაწილად ჩავთვალოთ, მაგრამ „მილანი" კარგად ნამდვილად არ იქცევა".

„რა თქმა უნდა, უსიამოვნო ინციდენტი იყო. ამის გამო კლუბის სახელით ბოდიშს ვიხდი. როგორც კი გავიგე, რომ ის ბანერი ჩვენს ავტობუსზე იყო მიკრული, მაშინვე მივედი და მოვხსენი" — აღნიშნა „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

„ნერაძურის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „ვფიქრობ, ისინიც ხვდებიან, რომ ამის გამო ყველას თვალში ძალიან ცუდად გამოჩნდნენ. სამწუხაროა, მაგრამ ამგვარი ფაქტები ფეხბურთში ხდება. განსაკუთრებით ამბროზინი გამოვიდა ცუდად. ერთია, განსხვავებული აზრი გქონდეს და ვინმეს აწყენინო, ხოლო მეორე — ფანების ირონიული და შეურაცხმყოფელი ბანერით ხელში იმღერო. ჩვენებს არაფერი ამგვარი არ გაუკეთებიათ, როცა სკუდეტო გვიძლიეთ და არც გააკეთებენ, რადგან ეს სწორი და კარგი არ არის".

